

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№3. 2022



№3. 2022

www.bk.ge www.ojs.b-k.ge



Business & Law

ბიზნესი კანონმდებლობა



საერთაშორისო სამეცნიერო- ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო
საძიებო ბაზაში **Google scholar**

რეცენზირებადი და
რეფერირებადი 2008 წლიდან



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი
პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი
შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას.
შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა
სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Business & Law



INTERNATIONAL SCIENTIFIC- ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the **Google scholar**
international search system

Recensented and
Referenced since 2008



The Journal is governed by free press principles.
The editorial board point of view may not necessar-
ily agree with the point of view expressed by the
authors. Therefore the Editorial Board does not
pledge any responsibility on the content of the
articles submitted by the Authors.

გამომხეველი

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსური მენეჯერთა ფედერაცია

ორგანიზაციულ-აღმინისტრაციული საბჭო

ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, დავით ჯალაღონია, ირმა დიხამინჯია, ილონა ადამია

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

აბულაძე კოტე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ბედიანაშვილი გივი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **გახოკიძე ჯემალ** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **დიხამინჯია ირმა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ელიავა ლია** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კაკალაშვილი ნატო** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კვარაცხელია დემნა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **კვაშილავა კახა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ლიპარტია ზურაბ** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მამუკა თავხელიძე** - გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მესხიშვილი ანზორ** - უძრავის ქონების ექსპერტი, საქართველო; **მექვაბიშვილი ელგუჯა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპავა ვლადიმერ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა იური** - მთავარი რედაქტორი, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **სილაგაძე ავთანდილ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ფუტყარაძე სულიკო** - წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო; **დავთაძე გიორგი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **შონია ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჩიხლაძე ნიკოლოზ** - ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო; **ცინარიძე რამინ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭითანავა ნოდარ** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭიჭინაძე ბორის** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ხომერიკი თემურ** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯალაღონია დავით** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯიბუტი მიხეილ** - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საქართველო.

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის უსსოელი წევრები

ალერზევი ალი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი; **გრიგორიი ლილია** - მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვეთი; **დიომედა ფედერიკო** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **დნესი ვ. ანტონი** - ნორტვენტრალის უნივერსიტეტი, არიზონა, აშშ; **ზიგლერი ბერნარდ** - ბერლინის უნივერსიტეტი, გერმანია; **იარვერსი რობინ** - ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია, დიდი ბრიტანეთი; **კარმანსკა ანნა** - ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლა, პოლონეთი; **ლანგი მარი** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **მაკგი ვ. რობერტ** - აშშ ფაეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; **ფიშერი იოჰან** - ბონის უნივერსიტეტი, გერმანია; **ჯონსონი რ. ვინსეტ** - სანტ-მარის უნივერსიტეტი, აშშ;

PUBLISHER

The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE COUNCIL

Zaur Nachkibia, Yuri Papasqua, Davit Jalaghonia, Irma Dikhaminjia, Ilona Adamia

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Abuladze Kote - Technical University of Georgia, Georgia; **Bedianashvili Givi** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Ghakhokidze Jemal** - Technical University of Georgia, Georgia; **Dikhaminjia Irma** - Sukhumi State University, Georgia; **Eliava Lia** - National University of Georgia, Georgia; **Takalandze Larisa** - Sukhumi State University, Georgia; **Kakalashvili Nato** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Kvaratskhelia Demna** - Technical University of Georgia, Georgia; **Kvashilava Kakha** - Sukhumi State University, Georgia; **Lipartia Zurab** - Sukhumi State University, Georgia; **Mamuka Tavkhelidze** - Grigol Robadzidze State University, Georgia; **Meskhisvili Anzor** - real estate expert, Georgia; **Mekvabishvili Elguja** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Yuri Papasqua** - Editor-in-Chief, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Sakartelo, Sukhumi State University, Georgia; **Silagadze Avtandil** National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Putkaradze Suliko** - St. Tbel Abuseridze University of Education, Georgia; **Ghavantadze Giorgi** - National University of Georgia, Georgia; **Shonia Nana** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Chikhladze Nikoloz** - Kutaisi University, Georgia; **Tsinaridze Ramin** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Chitanava Nodar** - Georgian Academy of Agriculture, Technical University of Georgia, Georgia; **Chichinadze Boris** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Khomeriki Temur** - Energy and Water Supply Commission of Georgia, National University of Georgia, Georgia; **Jalaghonia Davit** - Sukhumi State University; **Djibouti Mikheil** - Chairman, National Academy of Sciences of Georgia, Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Diomeda Federico - European Federation of Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Dnesi V. Anthony** - Northcentral University, Arizona, USA; **Ziegler Bernard** - University of Berlin, Germany; **Yarvers Robin** - Association of Chartered Accountants of England and Wales, Great Britain; **Karmanska Anna** -Warsaw School of Commerce, Poland; **Lange Marie** - Federation of European Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Mcgee v. Robert** - USA Fayetteville State University, USA; **Fischer Johann** - Bonn University, Germany; **Johnson R. Vincent** - Sainte-Marie University, USA.

შინაარსი CONTENT

თაკალანძე ლარისა

ციფრული ტრანსფორმაცია: მნიშვნელობა, გამოწვევები და ევროკავშირის პოლიტიკა----- 7

Takalandze Larisa

DIGITAL TRANSFORMATION: IMPORTANCE, CHALLENGES AND EUROPEAN UNION POLICY ----- 7

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე

პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიციის საქარტველოები -----12

Guram Abesadze, Nodar Abesadze

POLITICAL CULTURE AND DEMOCRATIC TRANSITION IN GEORGIA ----- 12

ნოდარ დარსანია

პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სივრცე-----18

Nodar Darsania

POLITICAL SYSTEM AND POLITICAL SPACE ----- 18

გურამ მარხულია

თურქეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ასპექტები 2010 - 2022 წწ. -----24

Guram Markhulia

TURKEY'S FOREIGN POLICY AND ASPECTS OF GEOPOLITICAL PRIORITIES ----- 24

მარინა იზორია

„რბილი ძალის“ ფენომენი სამხრეთ კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში-----33

Marina Izoria

THE PHENOMENON OF “SOFT POWER” IN THE FOREIGN POLICY OF SOUTH KOREA ----- 33

მადონა გელაშვილი

პანდემიის შედეგები გლობალურ ეკონომიკაზე -----38

Madona Gelashvili

THE CONSEQUENCES OF THE PANDEMIC ON THE GLOBAL ECONOMY ----- 38

ბესარიონ ნაყოფია

ბანკების საქმიანობის ძირითადი ასპექტები, პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში-----43

Besarion Nakofia

THE MAIN ASPECTS OF THE ACTIVITIES OF BANKS, PROBLEMS IN THE CONDITIONS OF THE GLOBAL ECONOMY ----- 43

ბადრი გიორგიძე
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი პროგრამების ფარგლებში განუხლები დაფინანსების სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა და ანალიზი 2017-2021 წლებში -----50

Badri Giorgidze
DYNAMICS AND ANALYSIS OF THE STATISTICAL MEASURES OF THE FUNDING PROGRAMS FOR PEOPLE WITH DISABILITIES IN YEARS 2017-2021 ----- 50

ელგუჯა ქავთარაძე
სომხური ეთნონაციონალური ექსპანსიონიზმის გეოპოლიტიკური ზომები სამხრეთ კავკასიაში -----58

Elguja Kavtaradze
GEOPOLITICAL DIMENSIONS OF ARMENIAN ETHNO-NATIONAL EXPANSIONISM IN THE SOUTH CAUCASUS ----- 58

მურმან კვარაცხელია
ეპოქალური წიგნი: რეზენზია ნოდარ ჭითანავას მონოგრაფიაზე: გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში -----65

Murman Kvaratskhelia
EPOCH BOOK: REVIEW OF NODAR CHITANAVA'S MONOGRAPH: GLOBAL CHALLENGES IN A UNIPOLAR WORLD----- 65

გიორგი ყიფშიძე
გამოწვევები ბინათმშენებლობაში და დაძლევის გზები-----68

Giorgi Kipshidze
CHALLENGES IN HOUSING CONSTRUCTION AND WAYS TO OVERCOME THEM ----- 68

კესო სუმბაძე
პრობითი დისკრიმინაციის გამოწვევები ქართულ ორგანიზაციებში -----71

Keso Sumbadze
THE LABOR DISCRIMINATION CHALLENGES IN GEORGIAN ORGANIZATIONS ----- 71

ქეთევან დიოგიძე
ორგანიზაციული ცვლილებები და მათი მნიშვნელობა ორგანიზაციების დღის წესრიგის ფორმირებაში -----75

Ketevan Diogidze
ORGANIZATIONAL CHANGES AND THEIR IMPORTANCE IN THE SHAPING OF ITS AGENDA----- 75

შურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ! -----80

ATTENTION MAGAZINE READERS AND POTENTIAL AUTHORS! ----- 81

ციფრული ტრანსფორმაცია: მნიშვნელობა, გამოწვევები და ევროკავშირის პოლიტიკა

თაკალანძე ლარისა

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0003-1126-6464>
E-mail: speaker@sou.edu.ge



რეზიუმე

ამჟამად, მსოფლიოში ციფრულ კომუნიკაციებს უდიდესი გავლენა გააჩნია. უკანასკნელ პერიოდში ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მძლავრი კატალიზატორი 2020 წლის პანდემია გახდა, რამაც პრაქტიკულად ყველა სფეროში გამოიწვია ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით, სტატიაში განხილულია ციფრული ტრანსფორმაციის ევროკავშირის პოლიტიკა, შესაძლებლობები და გამოწვევები, აგრეთვე ევროკავშირის როლი საქართველოში ციფრული ეკონომიკის ფორმირებასა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაში; გაშუქებულია განათლების ტრადიციული ინსტიტუტების შესაბამისობა ციფრული ტრანსფორმაციით ინიცირებულ ახალ მოთხოვნებთან და დასაბუთებულია უმაღლესი განათლების, დასაბუთებულია ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევების საპასუხოდ არსებული საგანმანათლებლო პარადიგმების გადახედვისა და პროფესიული განათლებისა და ბიზნეს კომპანიებს შორის ეფექტური ურთიერთობის აგების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ევროკავშირი, გამოწვევები, ბიზნესი, უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, განვითარება.

ციტირებისთვის: თაკალანძე ლ., ციფრული ტრანსფორმაცია: მნიშვნელობა, გამოწვევები და ევროკავშირის პოლიტიკა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 7-11.

DIGITAL TRANSFORMATION: IMPORTANCE, CHALLENGES AND EUROPEAN UNION POLICY

Takalandze Larisa
Professor, Head of Management Module,
Sokhumi State University
<https://orcid.org/0000-0003-1126-6464>
E-mail: speaker@sou.edu.ge

RESUME

Digital communications are having a tremendous impact on the world today. The 2020 Pandemic has recently become a powerful catalyst for digital transformation technologies, causing changes in almost all areas. In this regard, the article examines the policy of the European Union, the opportunities and challenges of digital trans-

formation, as well as its role in the formation of the digital economy and the development of the information society in Georgia;

The relevance of traditional educational institutions to the requirements initiated by digital transformation is highlighted, and the need to build effective relationships between HE, VET and Business companies is substantiated.

Key words: Digital transformation, European Union, Challenges, Business, High Education, VET, Corporate Social Responsibility, Development.

For citation: Takalandze L., Digital Transformation: Importance, Challenges and European Union Policy, Business & Law, No. 3, 2022, p. 7-11.

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების გავლენა პოტენციურ ეკონომიკურ ზრდაზე თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეკონომიკის ციფროვიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტია სახელმწიფო ინვესტიციები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (ICT), როგორც ერთი

მხრივ, სახელმწიფო რესურსების უფრო ეკონომიური და ეფექტიანი განკარგვის და სახელმწიფო სერვისების (ძირითადად, სოციალური სერვისების, საგადასახადო სისტემის) ეფექტიანი მიწოდების და მეორე მხრივ, ამ მიმართულებით კერძო ინვესტიციების სტიმულირების ნინაპირობა. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ICT ინვესტიციები საშუალოდ მშპ-ს 1-1.5%-ს შეადგენს.

თუმცა სახელმწიფოს ICT ინვესტიციების პოტენციურ სარგებელთან მიმართებით, ცალკეული კვლევები რიგ გამონკვევებსაც ასახელებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სასურველი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად.

უკანასკნელ პერიოდში ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მძლავრი კატალიზატორი 2020 წლის პანდემია გახდა, რამაც ბიზნეს კომპანიებს აიძულა განვითარებისა და ზრდის ახალი შესაძლებლობების მოძიება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამასთან, COVID-19-ის პანდემიამ წარმოაჩინა საზოგადოებაში ე.წ. ციფრული დაყოფა და წარმოქმნა ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის გადაუდებელი აუცილებლობა.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი ბევრად ცვლის სამენარმეო საქმიანობას, ბიზნესის წარმართვის წესებს. ბიზნეს სტრუქტურებში (ისევე, როგორც მთლიანად შრომის ბაზარზე) იზრდება მოთხოვნა სპეციალისტებზე, რომლებიც პროფესიონალიზმთან ერთად, ფლობენ ციფრულ კომპეტენციებს და მუდმივად ცვალებად, ზოგჯერ არაპროგნოზირებად ვითარებაში სამუშაო პირობებთან ადაპტირების უნარს. ეს, თავის მხრივ, ახალ პირობებს უყენებს განათლების სისტემას, რომელიც განსაკუთრებით მგძნობიარეა გლობალური (ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.) გამონკვევების მიმართ და დღის წესრიგში აყენებს არსებული საგანმანათლებლო პარადიგმების გადახედვის აუცილებლობას.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობის, შესაძლებლობებისა და გამონკვევების კვლევა, ამ კუთხით ევროკავშირის პოლიტიკის გაცნობა. კვლევის საგანია ევროკავშირის ციფრული ტრანსფორმაციის საუკეთესო პრაქტიკის, ძირითადი ტენდენციების გაცნობა, ევროკავშირის როლი საქართველოში ციფრული ეკონომიკის ფორმირებასა დასაინფორმაციო საზოგადოების განვითარებაში, ასევე გამონკვევებისა და შესაძლებლობების შეფასება საქართველოსთვის; ხოლო კვლევის ობიექტი - ციფრული ტრანსფორმაციის ევროკავშირის პოლიტიკა; ნაშრომში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებისა და განზოგადების საფუძველზე, განხილულია განათლების ტრადიციული ინსტიტუტების შესაბამისობა ციფრული ტრანსფორმაციით ინიცირებულ ახალ მოთხოვნებთან.

ციფრული ტრანსფორმაცია

ცნობილია, რომ ევროპის დღის წესრიგშია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ციფრული და მწვანე ეკონომიკის (Green Deal) განვითარებაზე. ევროპის ყველა ქვეყანაში იქმნება **ევროპული ციფრული ინოვაციის ჰაბი (EDIH)** - ერთი ფანჯრის პრინციპზე მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან კომპანიებს საკუთარი ბიზნესის/წარმოების პროცესის, პროდუქტების და სერვისების კონკურენტუნარიანობის ზრდაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ისინი უზრუნველყოფენ წვდომას უახლეს ცოდნაზე, გამოცდილებასა და ტექნოლოგიებზე, რათა დაეხმარონ საკუთარ კლიენტებს ციფრული ინოვაციებ-

ის პილოტირებისა და ტესტირების საშუალებით. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში ციფრული ინოვაციის ჰაბები უზრუნველყოფს ბიზნესის ფინანსურ დახმარებას ამ ინოვაციების დასაწერად. ციფრული ინოვაციის ჰაბი წარმოადგენს რეგიონულ თანამშრომლობას მრავალი პარტნიორის მონაწილეობით, რომელიც მოიცავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორც კვლევითი და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, სამრეწველო ასოციაციები, სავაჭრო პალატები, ინკუბატორები/აქსელერატორები, განვითარების სააგენტოები და მთავრობები. ევროკომისია ჯერ კიდევ პანდემიამდე ახორციელებდა ევროპული მრეწველობის სწრაფ ციფრულ ტრანსფორმაციას, განსაკუთრებით ტრადიციულ სექტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებში, ასევე მისი ძალისხმევა მიმართული იყო რეგიონული განსხვავებების აღმოფხვრაზე. ევროკავშირის ინდუსტრიასთან დაკავშირებული პირველი ინიციატივა "ევროპული ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაცია" (DEI) დაიწყო ერთიანი ციფრული ბაზრის პაკეტის ფარგლებში 2016 წლის აპრილში; მისი ამოცანაა უზრუნველყოს ევროპაში ყველა ზომის, ლოკალიზაციის და სექტორის ბიზნესში ციფრული ინოვაციებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღება.

უკანასკნელ პერიოდში ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მძლავრი კატალიზატორი 2020 წლის პანდემია გახდა, რამაც ბიზნეს კომპანიებს აიძულა განვითარებისა და ზრდის ახალი შესაძლებლობების მოძიება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

2021 წლის აპრილში ევროპის პარლამენტმა მიიღო პროგრამა „ციფრული ევროპა“ - ევროკავშირის პირველი ფინანსური დოკუმენტი, რომელიც ფოკუსირებულია ტექნოლოგიების დაყვანაზე უშუალოდ ბიზნესსა და ადამიანებზე. იგი მიზნად ისახავს ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, რათა სტრატეგიულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყონ ევროპის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და „მწვანე“ პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე ტექნოლოგიური სუვერენიტეტის უზრუნველყოფას.

ამასთან ერთად, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ციფრული ბაზრების ჰარმონიზება, რომლის ძირითადი ინსტრუმენტიცაა ევროკავშირის მიერ ინიცირებული „EU4Digital: ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“; იგი მხარს უჭერს ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ძირითადი სფეროების განვითარებას ევროკავშირის ნორმების და პრაქტიკის შესაბამისად. ეს პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების გავრცელებას საქართველოსა და სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში; ევროკავშირის დახმარება ხელს შეუწყობს ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას და ბიზნესის მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

ციფრული ტრანსფორმაცია ქართულ ბიზნესზე (და არამარტო ბიზნესზე) აისახა და COVID-19-თან დაკავშირებული ფიზიკური შეზღუდვების ფონზე, კომპანიებმა პროდუქციის რეალიზაციის ახალი გზების ძიება დაიწყეს. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მენარმეებზე, აუცილებელი გახდა ციფრულ სამყაროში სამოქმედო სტრატეგიის ფორმირება, რომლებიც მომხმარებლებთან ციფრული არხების მეშვეობით ეფექტურ კომუნიკაციას უზრუნველყოფდნენ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების (AA) მიხედვით, რომელიც მოიცავს ღრმა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), საქართველოს რეკომენდაცია მიეცა განავითაროს უფრო ძლიერი, გონივრული (smarter) და დინამიური ეკონომიკა. ეს პოლიტიკური პრიორიტეტები აისახება მე-8 თავში, სადაც ნათქვამია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციული საზოგადოების სფეროში: „მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კუთხით, რათა ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისა და ხელმისაწვდომ ფასად უკეთესი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით სარგებლობა მოუტანონ მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, და ამ სფეროში კონკურენციისა და ინვესტიციების ნახალისებას“ (მუხლი 324). ციფრულ ტრანსფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური პირობების, მცირე და საშუალო ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებაში, აგრეთვე სახელმწიფო ქმედებების ეფექტურობასა და ტრანსპარენტულობის ამაღლებაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფაში.

საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ ანგარიშში (2021) ხაზგასმულია, რომ საქართველოსთვის „უმნიშვნელოვანესია კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის ინკლუზიური, ეკოლოგიურად დაბალანსებული და მდგრადი დაძლევის უზრუნველყოფა და შემდგომი წინსვლა ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ციფრული ნიგნიერების ასამაღლებლად. სტრუქტურული რეფორმები გადამწყვეტი რჩება, რადგანაც მათი საშუალებით საქართველოს ეკონომიკა ნაკლებად მოწყვლადი ხდება საგარეო მოვლენებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის მიმართ და საინვესტიციო კლიმატი და ვაჭრობის პოტენციალი უმჯობესდება“ [5.28].

ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საქართველო და ევროკავშირი „ერთობლივად ციფრული ინფრასტრუქტურის დანერგვის შემდგომი ნახალისებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის გზით საქართველოს ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების საფუძველზე და ევროკავშირის კანონმდებლობისა

და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, განსაკუთრებით ციფრული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან მიმართებით... მნიშვნელოვანი იქნება ციფრული ეკონომიკისა და ინოვაციების სტიმულირება შესაბამისი პოლიტიკის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს და უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს როგორც IT-ინდუსტრიას, ისე კრეატიულ ინდუსტრიებსაც და გააძლიერებს მათ კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს დამწყები სანარმოების (სტარტაპების) ზრდასა და ფუნქციონირების გაგრძელებას და გააციფრულებს ღირებულებათა ჯაჭვს“ [14.7]

ამრიგად, ციფრული ეკონომიკის ხელშეწყობა და ციფრული გარემოს ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა, რაც განაპირობებს ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, ზრდას და ინოვაციებს.

2020 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტის HDM/EU4Digital-ის ფარგლებში მომზადდა, მსოფლიო ბანკის საექსპერტო დახმარებით. სტრატეგიის მიზანია ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება არსებული ციფრული უთანასწორობის დაძლევისა და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიზნით.

ასევე მომზადების პროცესშია ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევას. ესაა ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების, ინფორმაციის და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარების სამომავლო მიმართულებას აისახება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ინიცირებულ იქნა და გრძელდება ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული მრავალი კონფერენციისა თუ ფორუმის ჩატარება, ასევე ორგანიზაციების შექმნა, რომელთა მიზანი სერვისების გაციფრულება და გამოყენება, ციფრული ტრანსფორმაციისთვის ხელსაყრელი პირობების/გარემოს შექმნაა; მაგ., 2022 წლის აპრილში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: „საქართველოს ციფრული ტრანსფორმაცია: წინმსწრები ნაბიჯები ევროინტეგრაციის გზაზე“, რომლის მიზანი იყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საჯარო სექტორის მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის მიმართულებით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის, ძირითადი ტენდენციების გაცნობა, ასევე, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება საქართველოსთვის.

2022 წლის ივნისში საქართველოში გაიმართა ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმი, რომელმაც სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებს მოუყარა თავი.

ფორუმი საქართველოს ICT კლასტერისა და ციფრული ტრანსფორმაციის საქართველოს კონსორციუმის ორგანიზებით, ასევე USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და სხვა 20-ზე მეტი პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა. თბილისი (GBC) – კრიზისის დროს ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებს მიეძღვნა ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ EU4Digital პროგრამის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ციფრული კონფერენცია (2022 წლის ოქტომბერი), სადაც ყურადღება გამახვილდა ციფროვიზაციის როლზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. 2020 წელს შეიქმნა ციფრული სააგენტო „Quick“-ის ახალი პლატფორმა „Quickstart“, რომლის მიზანი სტარტაპებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდება და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმაში ხელშეწყობაა და ა.შ.

აღამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციამ (HRPA) და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) საერთაშორისო ექსპერტების და სპეციალისტების მონაწილეობით 2022 წლის 5-12 დეკემბერს საქართველოში პირველ და ყველაზე მასშტაბურ HR გაციფრულების კვირეულს უმასპინძლა, სადაც დღის წესრიგში იყო როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში გაციფრულების გლობალური ტენდენციების, გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

ამრიგად, საქართველო, ევროკავშირის მხარდაჭერით, აქტიურად ახორციელებს რეფორმებს, რომლებიც მიმართულია სექტორული ეკონომიკის სტრატეგიებსა და პროგრამებში ციფრული ტრანსფორმაციის საკითხების ინტეგრირებაზე. მკაფიოდ წარმოჩინდა ევროკავშირის როლი ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიმართულებით, რაც, საბოლოოდ, საქართველოს ციფრული ბაზრის ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან ინტეგრაციას უზრუნველყოფს.

განათლების სისტემის გამოწვევა

ონლაინ პლატფორმა ეკონომიკისა და ნებისმიერ სფეროში საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ისინი უდიდეს შესაძლებლობებს ქმნიან ბაზარზე და კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს არხს წარმოადგენენ. თუმცა, ყველა სიკეთესთან ერთად, ახალ გამოწვევებსაც აჩენენ.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი ბევრად ცვლის სამეწარმეო საქმიანობას, ბიზნესის წარმართვის წესებს. ბიზნეს სტრუქტურებში (ისევე, როგორც მთლიანად შრომის ბაზარზე) იზრდება მოთხოვნა სპეციალისტებზე, რომლებიც პროფესიონალიზმთან ერთად, ფლობენ ციფრულ კომპეტენციებს და მუდმივად ცვალებად, ზოგჯერ არაპროგნოზირებად ვითარებაში სამუშაო პირობებთან ადაპტირების უნარს. ეს, თავის მხრივ, ახალ პირობებს უყენებს განათლების სისტემას,

რომელიც განსაკუთრებით მგძნობიარეა გლობალური (ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.) გამოწვევების მიმართ და დღის წესრიგში აყენებს არსებული საგანმანათლებლო პარადიგმების გადახედვის აუცილებლობას. ციფრული ტექნოლოგიების პროგრესი და შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებადი პირობები ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებისგან მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს და განაპირობებს საგანმანათლებლო მეთოდის ცვლილებების აუცილებლობას და მათ ადაპტირებას დისტანციური სწავლების ფორმატში.

ბიზნესის კვალდაკვალ განათლებას ახალ მოთხოვნებს უყენებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - ციფრულმა ტრანსფორმაციამ წარმოქმნა ახალი მიმართულება, რომელიც ცვლის მუშაკის დამოკიდებულებას ტექნოლოგიების მიმართ, აგრეთვე აყალიბებს ახალი ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების აუცილებლობას - კორპორაციული ციფრული პასუხისმგებლობა (Corporate Digital Responsibility (CDR)). თანამედროვეობის კიდევ ერთი გლობალური გამოწვევა - კლიმატის ცვლილება და გარემოს დაბინძურება (Climate change and environmental degradation), საფრთხეს უქმნის არა მარტო ევროპას, არამედ მთლიანად მსოფლიოს. ევროკავშირის სტრატეგია - ევროკავშირის მწვანე შეთანხმება (EU Green Deal) მიზნად ისახავს რესურსეფექტურ, ეკოლოგიურ და კონკურენტუნარიან ეკონომიკას. საქმე ეხება ეკოლოგიური კულტურის ფორმირების აუცილებლობას, Green Skills და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების დონეს. მნიშვნელოვანი როლი ამ პრობლემების გადაჭრაში ენიჭება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კარგად გათვლილ სტრატეგიას.

„ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა...“ - ნათქვამია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში 2017-2021.

განათლების მთავარი ამოცანა - შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაა. ეს კი შეუძლებელია შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის გარეშე. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ურთიერთკავშირს. და, თუმცა ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ბიზნესის თანამშრომლობის ფორმები მეტად მრავალფეროვანია (Bonn Declaration “University-Enterprise Cooperation: Building on New Challenges from Past Experiences”), გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა მათი უწყვეტი მოდიფიკაცია, თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა.

ყველა ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა არა მხოლოდ დამსაქმებლების და უმაღლესი განათლების, არამედ, პროფესიული განათლების სისტემის ძალისხმევა. სიახლეებთან ერთად ადამიანს ყოველთვის სჭირდება

პროფესიული მომზადების განახლება. ამგვარი აუცილებლობა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს - ამჟამად თითოეული ადამიანისთვის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ზრდისთვის აუცილებელია სწავლა და განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე (ევროკავშირის სტრატეგიაში ევროპა 2020 (Europe 2020) ევროპული ქვეყნების განათლების სისტემის ძირითად გამოწვევებად დასახელდა: მოსახლეობის დაბერება, შრომითი საქმიანობის უნარ-ჩვევების დეფიციტი, გლობალური კონკურენციის ზრდა და უმუშევრობის მაღალი დონე). უმაღლესი განათლების აქტუალობის აღიარებასთან ერთად, ეს განაპირობებს განათლების უწყვეტი სისტემის განვითარების მნიშვნელობას ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაშიც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს პროფესიულ განათლებას (VET). უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება ქმნის დამსაქმებელთა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში ჩართვის მექანიზმებს, შესაძლებელს ხდის უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლება და პროფესიული განათლება შრომის ბაზარს აწვდიან თავიანთი საქმიანობის შედეგს - სპეციალისტებს, რომელთა დასაქმება ხდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებში. ეს მათ განათლების ხარისხის ძირითადი სტანდარტების, აგრეთვე ამა თუ იმ სპეციალისტებზე მოთხოვნის ცვლილებათა ტენდენციების განსაზღვრის საშუალებას მისცემს. შრომითი დასაქმების პერსპექტივების არსებობა უმაღლესი განათლების და VET დამთავრების შემდეგ ინდივიდისთვის საგანმანათლებლო პროგრამების არჩევისას მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს. უმაღლეს განათლებას, VET და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი საბაზრო პირობებში მათი ეფექტური ფუნქციონირებისთვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რიგი პრობლემა: ხარისხიანი განათლების წვდომა, საგანმანათლებლო სფეროში კონკურენციის გამძაფრება, განათლების ადეკვატურობა თანამედროვე მოთხოვნებთან, განათლების შინაარსის გადახედვა და ა.შ. დამახასიათებელია როგორც

განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისთვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განათლების ტრადიციული ინსტიტუტების წინაშე არსებული ახალი გამოწვევების (რომელთა ძირითადი ნაწილი განპირობებულია ციფრული ტრანსფორმაციით) საპასუხოდ ინოვაციური გადაწყვეტილებების ძიებამ დღის წესრიგში დააყენა უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლებასა და ბიზნეს კომპანიებს შორის ეფექტური ურთიერთობის აგების აუცილებლობა. მონაწილეთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის შედეგად უთუოდ გაიზრდება სინერგიული ეფექტი და განათლების რელევანტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თაკალანძე ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ევროკავშირის გამოცდილება), თბ., 2021;
2. ქოჩორაძე გ., ციფრული ინოვაციური ჰაბები ევროპაში და მათი შექმნის პერსპექტივა საქართველოში <https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/პოლიტიკის-დოკუმენტი-ქალი-და-ბიზნესი-converted-1.pdf>;
3. ჯოლია გ., განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში, მონოგრაფია, თბ., 2021 <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/328568/1/GanatlebaDaDasaqmebaCifruGaremoshi.pdf>
4. ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 10.08.2022 https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/AAIR_2021_GEO.pdf ;
5. საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ ანგარიში, 2021 https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/aair_2020_1.pdf <https://www.eumonitor.eu>;
6. ციფრული ტრანსფორმაცია სახელმწიფო სექტორში: საერთაშორისო კვლევების მიმოხილვა, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2019 http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Digital_Government.pdf ;
7. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027, რეკომენდაცია N 1/2022, 2022 <https://mfa.gov.ge/getattachment/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/ოფიციალური-დოკუმენტები/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx>.

პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიციის საქართველოში



გურამ აბესაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
<https://orcid.org/0000-0003-0215-4639>
guramabesaze@yahoo.com



ნოდარ აბესაძე

სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მონვეული ლექტორი
<https://orcid.org/0000-0002-8747-5150>
nodarabesadze007@gmail.com

რეზიუმე

პოლიტიკური კულტურა დემოკრატიული ტრანზიციის აუცილებელი პირობაა. იგი სამი მიმართულებით გამოვლინდება: 1. ცნობიერების; 2. განწყობილებებისა და ემოციების; 3. ქცევის მოდელების სახით. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცე პოლიტიკური კულტურის ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევა. პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის გულისხმობს პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ-ღირებულებით ცვლილებებს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ინსტიტუციური პოლიტიკური წესრიგი ძალზე დაბალია, რაც პოლიტიკური პოლარიზების მიზეზი ხდება. თანამედროვე საქართველოში პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის უპირველესი მიზანია ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. პოლიტიკურ სივრცეში სრულყოფილად არ არის გამოყენებული ერის ინტელექტუალური პოტენციალი. პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული ტრანზიციის პრობლემას წარმოადგენს რადიკალური და დესტრუქციული ქცევები, რომლებიც სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს. პოლიტიკურ აქტივობას აკლია რაციონალურობა და სახელმწიფოებრივი პრაგმატიზმი.

პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიციის მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. დემოკრატიული ტრანზიციის გულისხმობს სამოქალაქო და მონაწილეობითი კულტურის ფორმირების პროცესს. ქართული დემოკრატიის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ეროვნული პრაგმატიზმის დამკვიდრება. დემოკრატიული ტრანზიციის პრობლემად რჩება პოლიტიკური ერის ფორმირება. პოლიტიკური ერის ფორმირების უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია: 1. ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციისა და პოლიეთნიკური და მულტიკულტურული სივრცის ინტეგრაცია; 2. პოლიტიკურ აქტორებსა და სოციუმს შორის პოლარიზების აღმოფხვრა; 3. პოლიტიკური სისტემის პოლიტიკურ-კულტურული და ინსტიტუციური ტრანზიციის. პოლიტიკურად ინტეგრირებული საზოგადოება და ახალი ქართული იდენტობა პოლიტიკურ-კულტურული დემოკრატიული სივრცის საფუძველი გახდება.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კულტურა, დემოკრატიული ტრანზიციის, დემოკრატიის სტაბილურობა.

ციტირებისთვის: აბესაძე გ. აბესაძე ნ., „პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიული ტრანზიციის საქართველოში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 12-17

POLITICAL CULTURE AND DEMOCRATIC TRANSITION IN GEORGIA

Guram Abesadze

Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State
University, Head of Policy Science
<https://orcid.org/0000-0003-0215-4639>
guramabesaze@yahoo.com

Nodar Abesadze

Doctor of Social Sciences, guest lecturer
of Sukhumi State University
<https://orcid.org/0000-0002-8747-5150>
nodarabesadze007@gmail.com

SUMMARY

Political culture is a necessary condition for democratic transition. It will be manifested in three directions: 1. Consciousness; 2. moods and emotions; 3. In the form of behavior models. The modern Georgian political space is characterized by irrational tendencies of political culture. Political-cultural transition refers to institutional and political-value changes of the political space. The institutional political order in the Georgian political space is very low, which is the cause of political polarization. The primary goal of the political-cultural transition in modern Georgia is the formation of the Georgian national identity. The intellectual potential of the nation is not fully used in the political space. The problem of political culture and democratic transition is radical and destructive behaviors that need serious transformation. Political activity lacks rationality and state pragmatism.

Political culture and democratic transition are closely related. Democratic transition refers to the process of forming a civil and participatory culture. The most important condition for the stability of Georgian democracy is the establishment of national pragmatism. The formation of a political nation remains a problem of the democratic transition. We consider the primary task of forming a political nation to be: 1. Political transition of Georgian national identity and integration of polyethnic and multicultural space; 2. Elimination of polarization between political actors and society; 3. Political-cultural and institutional transition of the political system. A politically integrated society and a new Georgian identity will become the basis of a political-cultural democratic space.

Key words: political culture, democratic transition, stability of democracy.

For citation: Abesadze G. Abesadze N., Political culture and democratic transition in Georgia, "Business and Law", No. 3, 2022, 12-17.



შესავალი

პოლიტიკური კულტურა ტრანზიტული პოლიტიკური სისტემების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც დემოკრატიული ტრანზიციის უპირველეს პირობას წარმოადგენს. ქართულ სამეცნიერო სივრცეში უკვე გამოიცა გარკვეული ნაშრომები, რომლებიც პოლიტიკური კულტურის ტრანზიციის თემატიკას ეხება, მაგრამ ირაციონალურობის ტენდენციები იმდენად გამოკვეთილი ჩანს, რომ მისი კიდევ უფრო ღრმა და ახლებური სიტუაციებიდან გააზრება დროის მოთხოვნა გახდა. პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომელიც გარკვეული ხასიათის რაციონალურ და ირაციონალურ ტენდენციებს მოიცავს, რომლის განხილვა და სიტუაციური გააზრება დემოკრატიულ გადასვლისა და პოლარიზების დაძლევის აუცილებელი პირობაა.

პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის ქართულ ინტელექტუალურ ფენომენებს ემყარება, რომლის პრაგმატული გააზრება დროის მოთხოვნა გახდა; უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ პოლიტიკური ერის ფორმირების საკითხებს, რაც დასრულებული პროცესი არ არის და დემოკრატიული ტრანზიციის პროცესულ-პრიორიტეტს წარმოადგენს; ეს თემა წინა პლანზეა წამოწეული რადგანაც პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას თავისი პოლიტიკური ფენომენი აქვს და ერის

პრაგმატულ რაციონალურობას ახალ ღირებულებით განზომილებას აძლევს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სპექტრის პოლარიზება და აგრესიული რიტორიკა პოლიტიკური კულტურის დეფიციტზე მიანიშნებს, რაც, პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციასა და უკიდურეს ირაციონალურობაში გამოვლინდება.

პოლიტიკური კულტურის თემა ორი მიმართულებით გახდა აქტუალური: **პირველი**. მსოფლიო ნესრიგის ახალმა გეოპოლიტიკურმა პარადიგმამ ერის პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის მოთხოვნა, რომელიც პრაგმატულ აზროვნებასა და რაციონალურ მოქმედებებს მოითხოვს; **მეორე**. თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა ერის იდენტობის ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რომელმაც კულტურულ-იდეოლოგიური და ღირებულებითი გარდაქმნა წინა პლანზე დააყენა. ამასთანავე, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში ვერ მოხერხდა ერის პოლიტიკური კონსოლიდაცია, რომელიც სერიოზული ირაციონალური ტენდენციების მიმანიშნებელია; ასეთ სიტუაციაში ილია ჭავჭავაძის სიტყვები გვახსენდება: „...წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ „მოვედინ, დღეო სიხარულისაო...“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“¹

1 ილია ჭავჭავაძე. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987, გვ. 173

**1. თანამედროვე საქართველოს
პოლიტიკურ-კულტურული თავისებურებები და
დემოკრატიული ტრანზიტი**

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ტრანზიციის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა პოლიტიკური კულტურა გახდა, რომელიც პოლიტიკური პროცესის რაციონალურობისა და პრაგმატულობის დონეს განსაზღვრავს. ინსტიტუციური წესრიგი და დემოკრატიული ღირებულებებითი ტრანსფორმაცია პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის განზომილებითი კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო, რომელიც პერიოდული ციკლურობით თავის ირაციონალურ ტენდენციებს არ კარგავს; ასეთი შემაფერხებელი ტენდენციები ნეგატიურად აისახება ქართული დემოკრატიული პოლიტიკური სივრცის ფორმირებაზე, რომელიც ლეგიტიმური წესრიგისა და დემოკრატიის სტაბილურობის გარანტი უნდა გახდეს. მიუხედავად დემოკრატიული ტრანზიციის გარკვეული წარმატებებისა, პოლიტიკური კულტურის ირაციონალური ელემენტები პოლიტიკური პროცესის შემაფერხებელი სინდრომი გახდა.

ტრანზიტულ პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური კულტურა ლეგიტიმურობისა და რაციონალური მოქმედებების მყარი გარანტიების ფენომენს წარმოადგენს. პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიცია გულისხმობს პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ-ღირებულებით ცვლილებას, რომელმაც ერის პოლიტიკური იდენტობის თანამედროვე მოდელის პრიორიტეტული ორიენტაციები უნდა განსაზღვროს. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული სივრცე ინსტიტუციური და ღირებულებითი ტრანზიციის პროცესში იმყოფება, რაც ირაციონალური ტენდენციების გარეშე არ მიმდინარეობს. სახელმწიფოებრიობას გაუცხოებულმა ერმა ვერ შეძლო ეროვნულ-პოლიტიკური მეობისა და იდენტობის გამოკვეთა, რომელიც ყველაზე რთულად დასაძლევია გამოწვევა აღმოჩნდა. სახელმწიფოებრიობის გათავისება დემოკრატიული წესრიგის მყარ გარანტიებს ემყარება, რომელიც ინსტიტუციურ პოლიტიკურ წესრიგს გულისხმობს. ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში ინსტიტუციური სივრცე და მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური დიზაინი ძალზე დაბალია და ავტორიტარული რეჟიმის განზომილებით წარმოგვიდგება. პოლიტიკური სისტემის ეპიზოდური სტაბილურობა მხოლოდ ავტორიტარული ძალაუფლების მატარებელი ინსტიტუტებით არის შესაძლებელი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ კრიზისულ ფაზაში შედის.

თანამედროვე პოლიტიკური კულტურის კონცეპტუალური მოდელი გულისხმობს გარკვეულ პოლიტიკურ სივრცეში სოციალიზაციის შედეგად მიღებული ღირებულებების, ორიენტაციების, ნორმების, განწყობილებების, შეფასებების, სიმბოლოების, პოლიტიკური აზროვნების წესებისა და ქცევის მოდელის ერთობლიობას, რომელშიც გამოვლინდება პოლიტიკური აქტორებისა და სოციუმის ქცევისა და მოღვაწეობის სტილი და პოლიტიკურ-ინტელექტუალური დონე.

დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში პოლიტიკურ-კულტურული ტრანსფორმაციის ტემპსა და რაციონალურობის ხარისხს ინსტიტუციური წესრიგი განსაზღვრავს. პოლიტიკური ინსტიტუტიზაციის ძირითადი ამოცანები ასე წარმოგვიდგენია: 1. შექმნას პოლიტიკური წესრიგის გარკვეული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას; 2. მოახდენს პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, რომელიც პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების გარანტი იქნება; 3. განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკურ ღირებულებათა ტრანზიციისა და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ახალ განზომილებით კრიტერიუმებს.

პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის ავტორიტარულმა და ავტოკრატიულმა სტილმა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მორჩილებითი პოლიტიკური კულტურის ტიპი გააძლიერა; პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი გაუცხოების ტენდენციებმა გამოკვეთა ცალკეულ ლიდერთა ქარიზმატული თვისებები, რომლებიც ყოველთვის არ იქცევა დემოკრატიული ტრანზიციის ღირებულებით-ინტელექტუალურ საფუძვლად. ასეთი ირაციონალური ტენდენციების მომძლავრება თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურის კრიზისს იწვევს, რომელსაც თან ახლავს ინტელექტუალური ნიჰილიზმის სინდრომი. საზოგადოება ინსტიტუციური წესრიგის ნაცვლად თავის მიზანსწრაფვასა და კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალს რადიკალურ-ექსტრემისტულ ჯგუფებს ანდობს, რაც მთელი ქართული პოლიტიკური იდენტობისა და კულტურის დეგრადირებას ახდენს. ამიტომ, თანამედროვე ქართულმა პოლიტიკურმა კულტურამ მეტად აგრესიული და დამთრგუნველი ხასიათი შეიძინა, რომელიც ეროვნული იდენტობის გადაფასებისა და გაუცხოების ელემენტებს აძლიერებს.

თანამედროვე პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ქართული ეროვნული იდენტობის ღირებულებითი ორიენტაციების გამოკვეთა თვითმყოფადობისა და ეროვნულ-გენეტიკური ნიშნების მიხედვით. ეს პროცესი პოლარიზების გარეშე არ მიმდინარეობს, რადგანაც ახალ დროში ეროვნული ცნობიერებისა და აზროვნების გარდაქმნა ძალზე რთული პროცესი აღმოჩნდა. ღირებულებით ტრანსფორმაციებში რეფორმატორთა გარკვეული ჯგუფი ეროვნულ თვითმყოფად კანონზომიერებებს ყოველთვის არ იცავს და ტრანსპლანტაციურ მოდელებს ამკვიდრებს, რომლებიც ვერ ერგება ქართულ სააზროვნო სივრცესა და საზოგადოების მენტალურ მოთხოვნებს. ეროვნული ღირებულებები თანამედროვე ქართული ინტელექტის საფუძვლებს ქმნის, რომელიც მთელი პოლიტიკური აზროვნების კონცეპტუალურ განზომილებას წარმოადგენს. ქართული თვითმყოფადი აზროვნება ისტორიულ-ეროვნულ ტრადიციებზე წარმოშობილ ფორმებსა და ინტელექტს უნდა ემყარებოდეს. თანამედროვე ტრანზიცია, გარკვეულ სიტუაციებში, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენს ეროვნული ღირებულებებისადმი, რაც იწვევს ქართული ინტელექტუალური ფე-

ნომენების დეგრადირებას. პოლიტიკური კულტურის თანამედროვე ირაციონალური პარადიგმები - აგრესიულობა, ექსტრემიზმი, ავანტიურიზმი, რადიკალიზმი, ნიჰილიზმი, ძალადობა, პესიმიზმი და ა.შ. - პოლიტიკური თანაცხოვრების მოდად იქცა. ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის განზომილებით სიცრვეში უნდა შეიქმნას ახალი დონის პოლიტიკურ-ინტელექტუალური კულტურა, რომელიც ვინროკლანურ მომხმარებლურ ფსიქოლოგიას კი არ დაემყარება, არამედ აგებული იქნება რაციონალურობისა და ინოვაციური აზროვნების სულისკვეთებაზე.

პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის უმნიშვნელოვანესი პროცესია ერის ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილი გამოყენება და ეროვნული იდენტობის ფორმირებაში მისი როლის გამოკვეთა. ახალი დროის შესაბამისი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა ერის ინტელექტუალურ პოტენციალს ემყარება, რომელიც ცვალებადობის პირობებში მის მეობას ადაპტაციის მეტ შესაძლებლობას აძლევს. სამწუხაროდ, თანამედროვე განათლების სისტემამ, რომელიც მუდმივი ექსპერიმენტების პირობებშია, ვერ შეძლო მისი ეროვნული მოდელის ფორმირება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო სივრცეში დეგრადაციის ელემენტები უფრო და უფრო იზრდება, რაც აფერხებს საერთო ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას. ერის ინტელექტუალური პოტენციალი ძალიან დააქვეითა ზედმეტმა უნიფიცირებამ და ტრანსპლანაციამ, რომელმაც ერის თვითმყოფადი სააზროვნო სივრცე უცხო ელემენტებით შეავსო.

თანამედროვე ქართული ინტელექტუალური სივრცე თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ელემენტებით ფასადურობის გამოვლენის ფართო ხასიათს იძენს, რომელმაც შესაძლებელია ერის სულიერი და კულტურულ-ღირებულებითი კრიზისი გამოიწვიოს. ინტელექტუალურ სფეროში შემოდის ისეთი ელემენტები, რომლებიც მომხმარებლურ ფსიქოლოგიაზეა აგებული და ხელს უშლის ინოვაციურობისა და აზროვნების შემოქმედებითი სტილის დამკვიდრებას. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართული ინტელექტუალური სივრცე სერიოზული ირაციონალური ტენდენციების გამოვლენით ხასიათდება, რაც რადიკალურ რეფორმირებას საჭიროებს.

დემოკრატიული ტრანზიციისა და პოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთ პრობლემად რჩება პოლიტიკურ-კულტურული ქცევის მოდელის დამკვიდრება, რომელმაც სროლყოფილად უნდა გამოავლინოს ინდივიდისა და სოციალური აქტიური და შემოქმედებითი პოტენციალი. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკურ აქტიურობას აკლია რაციონალურობა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ელემენტები. ზოგჯერ, პოლიტიკური აქტიურობის სტილი გახდა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები, რომლებსაც ამკვიდრებს ზოგიერთი პოლიტიკური ინსტიტუტი და ორგანიზაცია. პოლიტიკური გაუცხოების ელემენტების მომძლავრება პოლიტიკურ აქტიურობასა და

ქცევებს აგრესიულ ხასიათს ანიჭებს და უკარგავს მას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ შინაარსს. სამწუხაროდ, პოლიტიკურ სივრცეში შეიმჩნევა ისეთი ორგანიზაციებისა და ინდივიდების აქტიურობა, რომლებიც, თავისი პროფესიონალიზმითა და პოლიტიკური პრაგმატიზმით არ გამოირჩევიან და არც ღირსეული ავტორიტეტი აქვთ საზოგადოებაში. ასეთმა სიტუაციამ, პოლიტიკურ-კულტურული სივრცე პოლარიზებამდე მიიყვანა, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ძველი და ახალი თაობის ენ. „პოლიტიკური ჯგუფები“, რომლებმაც ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დესტაბილიზაციის შემოტანა თავიანთი მოღვაწეობის სტილად გაიხადეს. ეს ის პოლიტიკური ჯგუფებია, რომელთა პოლიტიკური პორტრეტი და ქცევის სტილი თანამედროვე ქართული პოლიტიკური კულტურისათვის მოძველებულად უნდა მივიჩნიოთ; მათ მიერ დამკვიდრებული აგრესიულობის რიტორიკა და სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტები, კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზებას, რომელიც ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლინებად იქცევა. დესტრუქციულობით პოლიტიკური სარგებლიანობის მიღება თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციის ერთ-ერთ ირაციონალურ განზომილებად უნდა მივიჩნიოთ; მისი შეცვლა ახალი ქართული სააზროვნო სივრცით, რომელიც ეროვნულ-ინტელექტუალურ ტრადიციულ პოტენციალს დაემყარება, დემოკრატიული ტრანზიციის საფუძველი უნდა გახდეს.

2. პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციისა და დემოკრატიის სტაბილურობა

თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის ტრანზიციის მიზანია პოლიტიკური პროცესის რაციონალიზაცია და დემოკრატიის სტაბილური ფუნქციონირება. ამ მიმართულებით ორი ძირითადი პარადიგმა უნდა გამოვყოთ: 1. რაციონალური პოლიტიკური სივრცის შექმნა, რომელიც დაემყარება საზოგადოების სამოქალაქო კულტურას; 2. პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური და ღირებულებით ლეგიტიმური წესრიგი, რომელიც ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ელემენტებს დაემყარება და ფუნქციონალურად სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების გამომხატველი იქნება.

დემოკრატიული ტრანზიციის გულისხმობს სამოქალაქო კულტურის ტრანსფორმაციას, რომელმაც გარკვეულ დროსა და სივრცეში უნდა შექმნას პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების ისეთი მოდელი, რომელიც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონალურ სტაბილურობას დაამკვიდრებს; ეს არის ისეთი რაციონალური საზოგადოება, რომელიც პოლიტიკური თანაცხოვრების კონსენსუალურ მოდელს ემყარება და ორიენტირებულია პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და პოლიტიკური პოზიციის რაციონალურ-აქტივისტურ ფორმებზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცე ორი მიმართულებით უნდა გარდაიქმნას: 1. დემოკრატიული ტრანზიციის ნარმართვა ეროვნული და პოლიტიკური

იდენტობის გარდაქმნის მიმართულებით, რაც მონაწილეობითი კულტურის ელემენტებს დაემყარება; 2. დემოკრატიული ტრანზიციის მოახდენს ერის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, რომელიც პოლიტიკური პლურალიზმის სტაბილურობის გარანტი იქნება.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში პრობლემად რჩება ინსტიტუციური და ლირებულებითი წესრიგი, რომელიც, გარკვეულ სიტუაციებში, მკვეთრი პოლარიზებისა და სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი ხდება. თანამედროვე ქართული პოლიტიკური რეჟიმი, მიუხედავად დემოკრატიული პროგრესისა, ჰიბრიდულ რეჟიმად რჩება და კონსოლიდირებული ფუნქციონირების გარანტიებს ბოლომდე არ იძლევა. დემოკრატიის სტაბილურობა და ინსტიტუციური ლეგიტიმურობა რთული ფენომენია და პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემისა და მისი აქტორების პოლიტიკურ-კულტურული პოტენციალის ტრანსფორმაციას გულისხმობს, რაც მაქსიმალურად უნდა გამოხატავდეს სოციალური ინტერესებსა და განწყობილებებს, იყოს პოლიტიკური დროისა და სივრცის ადეკვატური და ასახავდეს თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის მოთხოვნებს. სტაბილურობა დემოკრატიული ტრანზიციის რაციონალურობის აუცილებელი განზომილებითი ფენომენია, რომელიც ეტაპობრივი მოდერნიზაციის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ქართული დემოკრატიის სტაბილურობას აფერხებს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მათი გარკვეული ლიდერების რაციონალურობისა და პრაგმატულობის ვინოკლანური მომხმარებლური ფსიქოლოგია; ისინი პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებას პირადი ეკონომიკური ინტერესების მისაღწევად ცდილობენ; პოლიტიკური ფენომენი აქტიური სტიმული და მოტივაცია გახდა ეკონომიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რაც პოლიტიკურ სივრცეში ერთგვარი პატრონაჟის ფუნქციის მატარებელია; ქართულ პოლიტიკაში ეს სინდრომი რთულად დასაძლევია ტენდენცია გახდა, რაც დემოკრატიის სტაბილურობის მყარ გარანტებს ვერ ამკვიდრებს და პერიოდული კრიზისების წარმოშობის მოტივაციურ ბაზას წარმოადგენს.

დემოკრატიის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ეროვნული პრაგმატიზმის დამკვიდრება, რომელსაც ქართული პოლიტიკური იდენტობის გამოხატვის სულისკვეთება ძალიან აკლია. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში ეროვნულმა პრაგმატიზმმა უნდა დაამკვიდროს: 1. პოლიტიკური თანაცხოვრების ეროვნულ-პოლიტიკური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგრადობასა და პოლიტიკური იდენტობის თანამედროვე მოდელის ფორმირებას; 2. პოლიტიკური ინსტიტუტებისა და აქტორების მოღვაწეობის ისეთი მოტივაციების განვითარებას, რომელიც პატრიოტულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე იქნება აგებული.

დემოკრატიის სტაბილურობისა და მისი კონსოლიდაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად პოლი-

ტიკური იდენტობის ისეთი ელემენტი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ქართული პოლიტიკური ერის ფორმირება წარმოადგენს. პოლიტიკური ერის განზომილებითი განსაზღვრება თანამედროვე პოლიტიკური იდენტობის ფორმირების საფუძვლებს წარმოადგენს; აქ უპირველეს კრიტერიუმად სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტების გააზრება, პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის გარკვეული დონე, ადამიანის უფლებების დაცვა, მულტიკულტურული სივრცის ინტეგრაციული პროცესები, პოლიტიკური მონაწილეობის აქტიური ფორმების გამოყენება, ეროვნულ-პატრიოტული აზროვნება, პოლიტიკური კონსოლიდაციისა და საზოგადოების ლირებულებითი ორიენტაციის გააზრება და ა.შ. იგულისხმება. ქართული პოლიტიკური ერის ეს კრიტერიუმები ტრანსფორმაციის პროცესშია და მისი განხორციელება გარდამავალ პერიოდში კვლავ პოლიტიკური სპექტრის, განსაკუთრებით პოლიტიკურ ელიტის, მიზანმიმართულ მოქმედებაზე დამოკიდებული. პოლიტიკური ელიტის რაციონალურობა და პრაგმატულობა ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების ინსტიტუციურ და ლირებულებით პრიორიტეტებს განსაზღვრავს უნდა იყოს აგებული.

თანამედროვე ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი და მისი პოლიტიკური იდენტობის გარდაქმნა, გარკვეულ სიტუაციებში, გამოკვეთილ ირაციონალურ ტენდენციას აწყდება, რომელიც სახელმწიფოებრივი გაუცხოების სინდრომში აისახება. პოლიტიკურ-კრიზისულმა სიტუაციებმა და პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ნაწილის ექტრემისტულმა მიდგომებმა, სახელმწიფოებრივი აზროვნება კრიზისულ მდგომარეობაში შეიყვანა. ერი ინტელექტუალურ ნიჰილიზმი მოექცა და თანდათან კარგავს სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურას, რომელიც პოლიტიკური გაუცხოების მიზეზი ხდება. პოლიტიკური გაუცხოება აფერხებს კონსოლიდირებული დემოკრატიის განვითარებას, რომელსაც პოლარიზების ელემენტები შეაქვს ქართული პოლიტიკური ერის ფორმირებაში.

პოლიტიკური კულტურის ფორმირება და მისი დემოკრატიული ტრანზიციის პოლიტიკური სოციალიზაციის გარეშე შეუძლებელია; ვფიქრობთ, რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებს ქართველი ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი, რომლის ტრანზიციის მცდელობა პრაგმატულ მიზანს ვერ აღწევს; პრაგმატულობა იმაში მდგომარეობს, რომ ერს, თავისი პოლიტიკურ-ინტელექტუალური ელიტით, არ აქვს გაცნობიერებული ისტორიული პროცესის თავისებურებები და მოთხოვნები: **პირველი** - ეს არის ქართული იდენტობის შენარჩუნება და მისი ტრანზიციის გლობალური ცვლილებების ფონზე, რომელიც ერის პოლიტიკურ-კულტურულ და იდეოლოგიურ გარდაქმნას საჭიროებს; **მეორე** - ეს არის პოლარიზების აღმოფხვრა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრს არ ახასიათებს, არამედ მთელი საზოგადოებაა გახლეჩილი კლანური ინტერესების გამო; აქ იკვეთება ერის პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნის აუცილებლობა, რომელიც

მომხმარებლური ფსიქოლოგიური ელემენტებითაა გაჯერებული; მესამე - ეს არის ერის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც ძალზე სუსტია და დესტრუქციულობის ელემენტებით გამოირჩევა. პოლიტიკური ტრანზიციის დასახელებული პრიორიტეტების გარეშე ვერ შეიქმნება პოლიტიკურ-კულტურული საზოგადოება, რომელიც დემოკრატიის სტაბილურობას ერის პოლიტიკური იდენტობის საფუძვლად მიიჩნევს.

დასკვნა

თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული ტრანზიციის მიზანია პოლიტიკური რაციონალურობისა და პრაგმატულობის დამკვიდრება, რაც გარდაქმნის ერის პოლიტიკურ იდენტობას ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად; უპირველეს ამოცანად რჩება პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნა, რადგანაც პოლიტიკური სცენის პოლარიზება მუდმივი სინდრომის არეალს ქმნის და დემოკრატიული ტრანზიციის კონსოლიდირებას აფერხებს; სრულყოფას საჭიროებს პოლიტიკური ინსტიტუტების პოლიტიკურ-ინტელექტუალური დონე, რადგანაც, მათი პლატფორმებიდან გამომდინარე, ყოველთვის არ არის დაცული ეროვნულ-პრაგმატული ინტერესები; შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციური სივრცე თავისებური კრიზისის გამოვლინებაშია, რომელიც მდგრადობის ელემენტებს მოკლებულია და ვინ-როკლანური მისწრაფებებით სულდგმულობს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ინსტიტუციური აქტორების ინტელექტუალურ-კულტურულმა სისუსტემ გარკვეულწილად არასტაბილურობის სინდრომი დაამკვიდრა, რაც სისტემურ გარდაქმნას საჭიროებს. ქართველი ერის პოლიტიკური გარდაქმნის საფუძველია პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი მოდელის დამკვიდრება, რომელიც შექმნის ინტეგრირებული საზოგადოების ერთიან

პოლიტიკურ-კულტურულ დემოკრატიულ სივრცეს შექმნის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987;
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. თბილისი, 2022 <https://www.interpressnews.ge/ka/article/707498-saagdromo-epistole>;
3. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიციის საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ივლისი-დეკემბერი, N 2, 2021, გვ. 9-13;
4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის დომინანტი ინსტიტუციური აქტორები და პოლიტიკური სტაბილურობა. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. სპეციალური გამოცემა, N2, 2022, გვ.76-81;
5. გ. აბესაძე დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2020;
6. გ. აბესაძე, თ. გოგბერაშვილი. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალურობის პარადიგმები საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2019;
7. გ. აბესაძე. პოლიტიკური კულტურა: კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები. უნივერსალი, თბ., 2015;
8. გ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის აქტორები. „უნივერსალი“, თბ., 2014.

პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სივრცე

ნოდარ დარსანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0000-0003-4698-1863>
nodar.darsania@yahoo.com



რეზიუმე

პოლიტიკური სისტემის მიზანს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, განმტკიცება და სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომლის მიღწევა და მისი განვითარება უშუალოდ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესთა ბალანსირების გზით ხდება.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის საშუალებით პოლიტიკურ პროცესებს მიზანმიმართული და მართვადი ხასიათი ენიჭება. იგი არის პოლიტიკური საზოგადოების მეტად აუცილებელი და კანონზომიერი წარმონაქმნი და ფენომენი.

პოლიტიკურ სფეროში მიმდინარე პროცესების სისტემური ანალიზის მეთოდის შემუშავებამ და პოლიტიკურ მეცნიერებებში სისტემური მიდგომის განვითარებამ კი საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური სისტემის თეორიის ჩამოყალიბებას.

სისტემური მეთოდის გამოყენება კი მკვლევარ ტალკოტ პარსონთანაა (Talcott Parsons) დაკავშირებული. ის განიხილავს საზოგადოებას როგორც სოციალურ სისტემას. სისტემათა თეორია პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიღო დევიდ ისტონმა (D.A. Easton). მან გააკეთა დასკვნა, რომ პოლიტიკური ცხოვრების სისტემური ანალიზი დაფუძნებულია გარემოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი სისტემის ცნებაზე, რომელიც გულისხმობს სისტემის თვითგადარჩენისა და შენარჩუნებისათვის რეაგირების უნარსა და შესაძლებლობას. ამრიგად, პოლიტიკური სისტემა ძირითადად მოიცავს სტრუქტურულ-ინსტიტუციურ და სტრუქტურულ-პროცესუალურ შემადგენელ ნაწილებს. ასევე პოლიტიკური პროცესების მართვის ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ ფორმებს.

პოლიტიკა თავისი სამოქმედო არეალითა და მასშტაბით ვრცელი სივრცეა და დროთა ვითარებაში მუდმივად

ივსება ახალი მიდგომებითა და ფორმებით.

პოლიტიკა ეს არის პროცესი, რომლის სივრცეში ადამიანები ქმნიან ერთად თანაცხოვრების ნორმებს. ის არსებითად წარმოადგენს საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობას, რამდენადაც გამომდინარეობს მიზანმიმართული საქმიანობიდან და უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფოების, ხალხების, ერებისა და სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთერთობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებასთან.

პოლიტიკური სივრცე მჭიდროდაა გადახლართული სხვადასხვა სფეროებთან და მოიცავს ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს, სამართლებრივს, რელიგიურს. ამდენად, ის ორგანულად შესისხლხორცებულია სოციუმთან.

პოლიტიკური სივრცე ეს არის ვრცელი არეალი, რომელზეც ვრცელდება ისტორიულად განპირობებული პოლიტიკური სისტემა ანდა ხორციელდება მისი პოლიტიკური გავლენა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური სივრცე, პოლიტიკური ინსტიტუტები.

ციტირებისთვის: დარსანია ნ., პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სივრცე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 18-23.

POLITICAL SYSTEM AND POLITICAL SPACE

Nodar Darsania

Doctor of History, SSU associate professor
<https://orcid.org/0000-0003-4698-1863>
nodar.darsania@yahoo.com

SUMMARY

The goal of the political system is to establish, strengthen and ensure stability of public order, which is achieved and developed directly through balancing the interests of various social and political groups.

Through the modern political system, political processes are given a purposeful and manageable character. It is a

very necessary and regular formation and phenomenon of political society.

The development of the method of systematic analysis of current processes in the political sphere and the development of the systematic approach in political sciences laid the foundation for the formation of the theory of the political system.

The use of the systematic method is associated with the researcher Talcott Parsons. He considers society as a social system. The theory of systems was introduced into political science by David Easton (D.A. Easton). He concluded that the systemic analysis of political life is based on the concept of a system under the influence of the environment,

which implies the ability and possibility of responding to the system's self-preservation and maintenance. Thus, the political system mainly includes structural-institutional and structural-procedural components, as well as institutional-organizational forms of political process management.

Politics is a vast space with its area and scope, and it is constantly filled with new approaches and forms over time.

The politics is a process in which people create norms for living together. It is essentially a set of public ideas, since it arises as a result of purposeful activity and is directly related to the formation of vitally important relations and interests

between states, peoples, nations and social groups.

The political space is closely intertwined with various spheres and includes economic, social, cultural, legal, religious. Thus, it is organically integrated with society.

The political space is a vast area over which a historically conditioned political system spreads or its political influence is exercised.

Key words: politics, political system, political space, political institutions.

For citation: Darsania N., Political system and political space, Journal of Business and Law, No. 3, 2022. p. 18-23.



ძირითადი ტექსტი

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს განსაკუთრებულ ტიპს თანამედროვე სოციალურ სისტემათა შორის, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოს მმართველობაში. იგი არის პოლიტიკური ინსტიტუტების, სოციალურ-პოლიტიკურ ერთობათა და მათ შორის, ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება.¹ პოლიტიკური სისტემის განსაზღვრა დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე, სახეობასა და შინაარსობრივ-ფუნქციურ მახასიათებლებზე.

გამოყოფენ პოლიტიკური სისტემის შემადგენელ 5 ქვესისტემას, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მოგვყავს ისინი:

ინსტიტუციონალური (პოლიტიკური ინსტიტუტები: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, დაინტერესებული ჯგუფები, პოლიტიკური ელიტა, პროფკავშირები და ა.შ.);

ნორმატიული (შედგება როგორც სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალური ნორმებისა და ღირებულებებისაგან, ასევე ტრადიციული ნორმების, ჩვეულებებისა და სიმბოლოებისაგან. მათი მეშვეობით პოლიტიკური სისტემა მუდმივ ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეთა ქცევებსა და ინსტიტუტების საქმიანობაზე);

კომუნიკაციური (მოიცავს პოლიტიკური ურთიერთობის ყველა ფორმას, როგორც სისტემის შიგნით (მაგალითად, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის), ასევე მის გარეთ - სხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებთან.

ფუნქციური (მოიცავს პოლიტიკური საქმიანობის მეთოდებსა და ხელისუფლების განხორციელების საშუალებებს, როგორცაა თანხმობა, იძულება, ავტორიტეტი და სხვა);

კულტურული (იდეოლოგიური). მას მიაკუთვნებენ სუბკულტურების - რწმენის, რელიგიის, პოლიტიკური ქცევის, ნორმებისა და პოლიტიკური ცნობიერების ერთობლიობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას, ურთიერთობისა და თანხმობის მიღწევას².

პოლიტიკური სისტემა „ცოცხლობს“ დროსა და სივრცეში, რადგან წარმოადგენს საკუთრივ მატერიისა და ცნობიერების, სოციალური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას³.

საკუთრივ, არსებული პოლიტიკური რეჟიმიდან გამომდინარე, განასხვავებენ პოლიტიკური სისტემის რამდენიმე სახეს, როგორცაა დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემებს. თავის მხრივ, ისინი იყოფა ტიპებად: ღია და დახურული, ანგლო-ამერიკული, ევროპულ-კონტინენტური და სხვ.

პოლიტიკური სისტემის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა (წესრიგის დამყარება, განმტკიცება) და მისი განვითარება სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესთა ბალანსირების გზით. შესაბამისად, გააჩნია განსაკუთრებული ფუნქციები, რომელსაც ახორციელებს სახელისუფლებო სტრუქტურებისა და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით, ქმედება ემყარება ავტორიტეტს, ძალასა და ძალმომრეობას.

უპირველესად, პოლიტიკური სისტემის ფუნქციებს განეკუთვნება ინტერესთა არტიკულაცია - პოლიტიკურ-მასსისტემამ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პარლამენტის, ინტერესთა ჯგუფების და ა. შ. საშუალებით უნდა გამოხატოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები, მეორე - ინტერესთა აგრეგირება (შეერთება) და განზოგადება (დაქსაქსული ჯგუფების ინტერესების შეერთება, განზოგადება, მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრა, პროგრამის ფორმით ჩამოყალიბება და ხელისუფლებამდე მიტანა (პოლიტიკური პარტია); მესამე - წესებისა და ნორმების გამომუშავება (ასრულებენ საკანონმდებლო ორგანოები); მეოთხე - ნორმებისა და წესების გამოყენება (ამ ფუნქციას ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლება, მისი კომპეტენტური ორგანოები). მეხუთე - კონტროლის დანერგვა (კონტროლი წესების გამოყენებაზე. მას სამართლო და იძულების ორგანოები ახორციელებენ); მეექვსე - პოლიტიკური კომუნიკაცია - პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა სტრუქტურებს, ლიდერებსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციების გაცვლისა და

1 A.A. Горелов, Политология, М., 2006. С.227

2 ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი, პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ., 2002, გვ.42

3 .Политология, ред. Проф. В.Д. Первалов. М., 1999. С.123

ურთიერთქმედების ფორმები; მეშვიდე - პოლიტიკური სოციალიზაცია¹. პოლიტიკური სისტემის ამოცანას დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი სოციალ-დემოკრატიული ხასიათის პრობლემის გადაწყვეტა განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი არსის გარკვევას. პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს ძირითადად სახელმწიფოებრივი განვითარების მიმართულებებს. დემოკრატიული პოლიტიკური ღირებულებების არსს, პოლიტიკური ორიენტაციებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურულ-ფუნქციურ თავისებურებებს².

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის საშუალებით პოლიტიკურ პროცესებს მიზანმიმართული და მართვადი ხასიათი ენიჭება. იგი არის პოლიტიკური საზოგადოების მეტად აუცილებელი და კანონზომიერი წარმონაქმნი და ფენომენი.³

პოლიტიკური სისტემა ესაა ყოველ დამოუკიდებელ საზოგადოებაში ურთიერთქმედების სისტემა, რომელიც ასრულებს ინტეგრაციისა და ადაპტაციის ფუნქციებს საზოგადოების შიგნით და გარეთ, მეტად თუ ნაკლებად ლეგიტიმური ფიზიკური იძულების გამოყენების გზით. . .ის არის საზოგადოებაში წესრიგის განმამტკიცებელი, მხარდამჭერი და გარდამქნელი სისტემა.⁴

პოლიტიკური სისტემა თავისი არსითა და ფუნქციით გარკვეულ სივრცეში მოქმედებს. პოლიტიკური სივრცის გაცნობიერება იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამ სივრცეში მიმდინარეობს ერთდროულად ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საყურადღებო და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სოციალ-პოლიტიკური პროცესები.

თავის მხრივ, პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესების სისტემური ანალიზის მეთოდის შემუშავებამ და პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური სისტემის თეორიის ჩამოყალიბებას. სოციალურ მეცნიერებებში სისტემური მიდგომის გამოყენება დღეს არ დანეგებულა. მას გარკვეული ისტორია აქვს.

სისტემური მეთოდის გამოყენება მკვლევარ ტალკოდ პარსონსის სახელთანაა დაკავშირებული. ის საზოგადოებას განიხილავს როგორც სოციალურ სისტემას, რომელიც ოთხი ურთიერთმოქმედი ქვესისტემისგან შედგება. თითოეული ასრულებს, თავის მხრივ, შესაბამის ფუნქციას, როგორცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი. ამდენად, საზოგადოება წარმოადგენს თვითრეგულირებად სისტემას. მისი ფუნქციები არის ის, რაც აძლიერებს საზოგადოების

სტრუქტურულ ცხოვრებას და მის ერთგვარ კონცენტრირებას ახდენს.⁵

სისტემათა თეორია კი პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიღო დევიდ ისტონმა. მან მოდოფიცირება გაუკეთა ტალკოდ პარსონსის თეორიას იმგვარად, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ ახდენს პოლიტიკური სისტემა მარეგულირებელი მექანიზმების დახმარებით საპასუხო რეაქციების გამომუშავებას გარემოსაგან მიღებული იმპულსების მიმართ.⁶ პოლიტიკური სისტემა მოქცეულია ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში. ამ გარემოდან წარმოიშობა მოთხოვნები და მხარდაჭერა პოლიტიკური სისტემისთვის, რაც პოლიტიკური სისტემის შესასვლელს ქმნის. მთავრობისათვის მხარდაჭერა შეიძლება მომდინარეობდეს სხვადასხვა წყაროდან. ის შეიძლება მოდიოდეს პატრიოტი მოქალაქეებისა და „ინტერესთა ჯგუფებისაგან და ა. შ. მთავრობის გადაწყვეტილებები და მოქმედებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სისტემის გამოსასვლელს ქმნიან. ეს გამოსასვლელი გადაეცემა უკან გარემოს და თავის მხრივ, ქმნის ახალ შესასვლელს პოლიტიკური სისტემის ახალ მოთხოვნებსა და მხარდაჭერას. ასეთი ხერხით კი ხდება პოლიტიკური სისტემისა და მისი მუშაობის კონცეპტუალიზაცია.⁷

გარემო გავლენას ახდენს პოლიტიკურ სისტემაზე მრავალი მოთხოვნილების წამოყენებით, ასევე ფუნდამენტური დახმარების აღმოჩენით. ისტონის კონცეფციაში მას ეწოდება „შესავალი“. შემდგომ პოლიტიკური პარტიები ან სხვა დანესებულებები აგროვებენ ამ „შესავლებს“ ფართო პროგრამებში. საბოლოოდ პოლიტიკური სისტემა (პოლიტიკოსების, ბიუროკრატების, აღმასრულებლების, კანონმდებლების, სასამართლოებისა და სხვათა სახით) ასრულებს ოფიციალურ ქმედებებს. ეს ოფიციალური რეაქციები შეიძლება იყოს გადაწყვეტილებების, კანონებისა და სხვა აქციების სახით და მათ უწოდებენ „გამოსავალს, შედეგს, რომელიც უბრუნდება გარემოს, როგორც საპასუხო რეაქცია“. ისტონის თანახმად, სისტემა არის უფრო მეტი, ვიდრე ნაწილების ჯამი. იგი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსია⁸. დევიდ ისტონმა დაასკვნა, რომ პოლიტიკური ცხოვრების სისტემური ანალიზი დაფუძნებულია გარემოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი სისტემის ცნებაზე, რომელიც გულისხმობს სისტემის თვითგადარჩენისა და შენარჩუნებისათვის რეაგირების უნარსა და შესაძლებლობას.⁹

დევიდ ისტონის პოლიტიკური სისტემის თეორია შევსებულ იქნა გაბრიელ ალმონდის მიერ. ის პოლიტიკურ სისტემას განიხილავს როგორც ურთიერთმოქმედ

1 ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი, პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ., 2002, გვ.43

2 პოლიტოლოგია, თბ.,2004, გვ.183.

3 იქვე, გვ. 184.

4 ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი. პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბ., 2002. გვ.:40

5 ნ. დარსანია. პოლიტიკა როგორც ურთიერთობებისა და პროცესების სისტემა. ხელოვნება, პრაგმატული აზროვნება. თბ., 2019. გვ.71

6 იქვე, გვ.71

7 პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერება, ნან. მეორე.რედ. მ. მაცაბერიძე; თბ., 2006. გვ.14

8 პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერება, ნან. მეორე.რედ. მ. მაცაბერიძე; თბ., 2006. გვ.48

9 D.A. Easton. Framework for analysis of political life. NY, 1965.

როლებს. მას პოლიტიკური სისტემა მიაჩნია სტანდარტიზირებული ურთიერთმოქმედი როლების ერთობლიობად, რომელიც გავლენას ახდენს გადანყვეტილების მიღებასა და განხორციელებაზე¹.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური სისტემა თავისი შინაარსით მეტად დინამიური მოვლენაა. იგი დროთა ვითარებაში სხვადასხვა სისწრაფით თუ სიღრმისეულად ექვემდებარება მნიშვნელოვან ცვლილებებს.

არსებითად პოლიტიკური სისტემისათვის სწრაფი თუ ნელი ტემპის ცვლილებებია დამახასიათებელი. პოლიტიკური სისტემის დინამიზმის ფესვები საზოგადოებაში არსებული მრავალი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფებისა და კლასების თანაარსებობაშია, ურთიერთობა მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, ინტერესების განსხვავებულობასა და ზოგჯერ საპირისპირო შეხედულებათა შედეგად, წინააღმდეგობრივი ხდება.

ამ ჯგუფების მოქმედების ამოსავალს წარმოადგენს არსებული ვითარების რეალობა, პირობებისა და პროცესების მოცემულობა, რომლის მიმართ შეიძლება დაიკავო არაერთგვარი, მაგრამ გარკვეული პოზიცია.

კონსერვატიული პოზიცია - გულისხმობს არსებული რეალობის, სინამდვილის აღიარებას და უარის თქმას ნებისმიერი ცვლილების მცდელობაზე. კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სხვათა შორის, ისინი ცხოვრობენ ყველაზე კარგ სამყაროში. ძალიან კრიტიკულად არიან განწყობილი ყოველგვარი გარდაქმნებისადმი.

რეფორმისტული პოზიცია - არის ის, რომ მიიღტვის ისეთი ცვლილებებისკენ საზოგადოებრივ წესრიგში, რომლებიც არ გარდაქმნიან მას რადიკალურად, მაგრამ სურთ ისეთის გატარება, რომელიც შეარბილებდა სოციალური კონფლიქტების სიმწვავესა და შექმნიდა პოლიტიკური ელიტის მიერ გაუკონტროლებელი სოციალურ-პოლიტიკური აფეთქების თავიდან აცილების შესაძლებლობას. რეფორმები ეს დათმობებია, რომელიც კეთდება სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფების მოთხოვნით. რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება პოლიტიკური სისტემის ჩარჩოს გასცდნენ. ჩვეულებრივ, რეფორმები ხორციელდება „ზევიდან“², თანმიმდევრულად და მონესრიგებულად.

თავის მხრივ, რევოლუციური პოზიცია ითვალისწინებს მთლიანად მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნას, რაც ნიშნავს ისეთი სოციალური სისტემის აშენებას, რომელიც ლეგიტიმურობის სრულიად ახალ, სხვაგვარ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.³

ამგვარად, პოლიტიკური სისტემის დინამიურობა გამონეველია, უპირველესად, კონსერვატიული, რე-

ფორმისტული და რევოლუციური მოძრაობების ქმედებებით. საზოგადოებრივი ცვლილებების ტემპი და სიღრმე საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენ მიერ აღწერილი პოლიტიკური მოძრაობის ფორმებიდან რომელი უფრო მეტად ჭარბობს.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემა საზოგადოების მეტად აუცილებელი და კანონზომიერი ფენომენია. პოლიტიკური სისტემის საშუალებით პოლიტიკურ პროცესებს მიზანმიმართული და მართვადი ხასიათი გააჩნია. იგი ძირითადად მოიცავს სტრუქტურულ-ინსტიტუციურ და სტრუქტურულ-პროცესუალურ შემადგენელ ნაწილებს. ასევე პოლიტიკური პროცესების მართვის ინსტიტუციურ-ორგანიზაციურ ფორმებს.⁴

რაც უფრო სწრაფი ტემპით ხდება საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება (მისი ინტელექტუალური, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური პროცესი), მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს მისი საზოგადოებრივი პოლიტიზაცია. დღეს აშკარად იგრძნობა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მრავალფეროვანი და დიფერენცირებული ინტენსიური შედეგები. მისი აქტიური ზემოქმედება არამარტო საზოგადოების განვითარების ყველა სფეროზე, არამედ მთელი სამყაროს ცხოვრების პულსაციაზე.⁵ პოლიტიკა თავისი სამოქმედო არეალითა და მოცულობით ვრცელი სივრცეა და დროთა განმავლობაში მუდმივად ივსება ახალი მიდგომებითა და ფორმებით.⁶

პოლიტიკა ეს არის პროცესი, რომლის სივრცეში ადამიანები ქმნიან ერთად თანაცხოვრების ნორმებს. ის არსებითად წარმოადგენს საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობას, რამდენადაც გამომდინარეობს მიზანმიმართული საქმიანობიდან და უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფოების, ხალხების, ერებისა და სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთერთობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებასთან.⁷

უფრო სწორად, ზოგადი სახით (ფორმით) პოლიტიკა არის ადამიანთა საქმიანობა, რომელიც გამოიხატება სოციალურ ერთობებს, კლასებს, ერებს ხალხებს, პარტიებს, სახელმწიფოებს, მოქალაქეებსა და მათ გაერთიანებებს შორის, ურთიერთობებში პოლიტიკურ ხელისუფლებასთან დაკავშირებით, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, საზოგადოებრივი და მსოფლიო წესრიგის უზრუნველსაყოფად.⁸

ამდენად, პოლიტიკა ვლინდება და მისი მატერიალიზება ხდება პოლიტიკურ სუბიექტთა საქმიანობაში, გარკვეული პოლიტიკური შედეგების მიღების გამონევის მიზნით. ასე, მაგალითად, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა თავის აღიარებას პოულობს

1 პოლიტოლოგია, თბ., 2004, გვ.185

2 X.C. Санистебан. Основы политической науки. М., 1992. с.84

3 იქვე, გვ.84

4 Политология. Под ред. М.А. Василика М., 2005. С.13

5 ნოდარ დარსანია, პოლიტიკა როგორც ურთიერთობებისა და პროცესების სისტემა, ხელოვნება, პრაგმატული აზროვნება, თბ., 2019, გვ.17

6 იქვე, გვ. 54

7 დ. ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფიის შესავალი, თბ., 2012, გვ.25

8 Политология. Отв. Ред. Док. Юрид. Наук, проф. В.Д. Перевалов. М., 1999. С.48

მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებში. ქვეყნის სტრატეგიული, პოლიტიკური კურსის შემუშავება და რეალიზაცია წარმოუდგენელია პოლიტიკური პარტიების აქტიური საქმიანობის, აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების გარეშე და სხვ.

პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობს არაერთი სუბიექტი, რომლის საქმიანობა ხასიათდება სისტემურობითა და ფორმათა მრავალსახეობით, თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის სათანადო დონით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური საქმიანობის საკითხს.

პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედებენ პოლიტიკური სუბიექტები სხვადასხვა ინტერესებითა და მიზნებით. ისინი ობიექტური აუცილებლობით ურთერთქმედებენ მთავარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ეს ურთიერთქმედება შეიძლება ყალიბდებოდეს კოორდინაციის პრინციპებსა და საქმიანობის სუბორდინაციაზე, ასევე პოლიტიკურ თანხმობასა და დაპირისპირებაზე. პრაგმატული პოლიტიკა თავისი არსით გულისხმობს იმას, რომ რეალური ურთერთქმედებით პოლიტიკური სუბიექტები კი არ ანადგურებენ ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ურთიმანეთს აძლიერებენ და ავსებენ.¹

პოლიტიკის სუბიექტები ეს არის სოციალური და ნაციონალური ერთობები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომელთაც ძალუძთ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მიაღწიონ მის რეალიზაციას, შეცვალონ საზოგადოებრივი ურთერთობები საკუთარი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად. პოლიტიკის სუბიექტი ეს არის აქტიური მიზანმიმართული და გააზრებული მოქმედების მატარებელი კატეგორია.

პირობითად, პოლიტიკური სუბიექტები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. პირველები - ესენი არიან - სოციალური და ნაციონალური სივრცის წარმომადგენლები. (ხელისუფლების პირველწყაროები: სოციალური ერთობები (გაერთიანებები, კლასები, ჯგუფები, ელიტები, ინდივიდები და სხვ.); მეორე - პოლიტიკური ინსტიტუტები: სახელმწიფო და მისი ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები. მესამე ჯგუფი - ესაა ფუნქციური პოლიტიკური სუბიექტები: ოპოზიცია, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და სხვ. ისინი იბრძვიან პოლიტიკური ხელისუფლებისათვის და პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობენ მის განხორციელებაში.

პოლიტიკის მამოძრავებელ ძალას ადამიანთა ამა თუ იმ სოციალურ გაერთიანებათა, ჯგუფების, ერების და ა.შ. ინტერესები წარმოადგენს. ამ ინტერესებს გამოხატავენ და იცავენ პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოები.²

პოლიტიკა არსებობს და ფუნქციონირებს მხოლოდ განსაზღვრულ ჩარჩოებსა და სივრცეში. ის აუცილებელია და მან შესაძლოა მოგვიტანოს გარკვეული წარმატებები მიზნის მიღწევის უსათუო შესაძლებლობის პირობებში.

საბოლოოდ, მაინც პოლიტიკას ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს დინამიურობა, მოძრაობა და ვერბალურობა უდევს საფუძვლად. პოლიტიკის გარე საფუძვლების გარდა, არსებობს კიდევ შინაგანი საფუძვლები პოლიტიკის ობიექტისა, რომელიც მომდინარეობს უშუალოდ თვითონ ადამიანისაგან, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე.

ამგვარად, პოლიტიკის ობიექტი საბოლოოდ თვითონ საზოგადოების საფუძველშივეა, მის გარშემო არსებულ სივრცეშია, სადაც მოქმედებენ ის სოციალური გაერთიანებები, ჯგუფები, ერები და ეროვნებები, მოქალაქეები და მათი გაერთიანებები, რომლებზედაც პოლიტიკა ზემოქმედებს გარკვეული მიზნით. დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს ტენდენცია დაახლოებისა და ნაწილობრივი თანხვედრისა პოლიტიკის სუბიექტსა და ობიექტს შორის.³

ურთიერთობა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ყალიბდება სტრატეგიული პოლიტიკური კურსის შემუშავების შემთხვევაში, ხოლო მოღვაწეობას ამ კურსის რეალიზაციისათვის უწოდებენ პოლიტიკურ ურთერთობებს.

პოლიტიკური ურთერთობები არის საზოგადოებრივი ურთერთობების სხვადასხვაობა. „პოლიტიკური ურთერთობები ადამიანებს შორის, - წერდა კ. მარქსი, - წარმოადგენს, ბუნებრივია, ასევე სოციალურსაც და საზოგადოებრივ ურთერთობებსაც, ისევე როგორც ყველა სხვა ურთიერთობები, რომლებშიც ადამიანები იმყოფებიან ერთმანეთთან მიმართებაში“.⁴ ოღონდაც პოლიტიკური ურთიერთობები გამოირჩევიან განსაკუთრებული სპეციფიკით, რომელიც განასხვავებს მათ საზოგადოებრივი ურთერთობების სხვა სახეობებისგან.

ჯერ ერთი, ისინი წარმოიშობიან, როგორც წესი, მსხვილ სოციალურ გაერთიანებების, ერების, ასევე პარტიებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებით.

მეორე, პოლიტიკური ურთერთობები განზოგადებული სახით გამოხატავენ სოციალური ჯგუფების, კლასების, ხალხების მოთხოვნებსა და ინტერესებს.

მესამე, ყველაზე უფრო მწვავედ ყველაფერი ეს ვლინდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მეტოქეობაში, საკუთარი მიზნებისათვის სახელმწიფოსა და სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებაში.

მეოთხე, ისინი წარმოადგენენ უშუალოდ პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის რეალიზაციის, პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების ფორმებს.⁵

პოლიტიკური ურთერთობები რთული და მოძრავია,

1 იქვე, გვ.49

2 Политология. Отв. Ред. Док. Юрид. Наук, проф. В.Д. Перевалов. М., 1999. С.49

3 Там же, ст.52

4 Маркс Ф., Энгельс К., соч. 4. С.301

5 Политология. Отв. Ред. Док. Юрид. Наук, проф. В.Д. Перевалов. М., 1999. С.52-53

ისინი ობიექტურისა და სუბიექტურის, სტიქიურისა და შეგნებულობის ერთიანობას წარმოადგენენ.

პოლიტიკას შეხება აქვს ადამიანთა მრავალმილიონიან ინტერესებთან. ამდენად, ის მრავალმიზნობრივ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს და მუდმივ მიზანს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს - ქვეყნებსა და მსოფლიოში სათანადო წესრიგის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. პოლიტიკური სივრცე მჭიდროდაა გადახლართული სხვადასხვა სფეროებთან, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამართლებრივი, რელიგიური და, ამდენად, ის ხდება კანონზომიერად მზარდ მსოფლიოს საერთოპლანეტარულ ფაქტორად. რეალურ სინამდვილეში ორგანულად შესისხლხორცებულია სოციუმთან. არავის შეუძლია აიცდინოს პოლიტიკური ზემოქმედება. პოლიტიკური მისწრაფებები და ტალღები აღწევენ ქვეყნისა და მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებამდე. პოლიტიკური სივრცე ეს ის ვრცელი არეალია, რომელზეც ვრცელდება ისტორიულად განპირობებული პოლიტიკური სისტემა და ხორციელდება მისი პოლიტიკური გავლენა.

საზოგადოების პოლიტიზაციის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მაგრამ ყველაზე ნათლად და მკაფიოდ მთელი სისწრაფით ის ჩნდება გარდამავალ ისტორიულ პერიოდებში, როდესაც კარდინალურად ტრანსფორმირდება საზოგადოებრივი წესწყობილების

საფუძვლები. რის შედეგად ასევე იცვლება ადამიანთა მსოფლმხედველობა, მათი ფუნქციები და ღირებულებითი ორიენტირები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი. პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბ., 2002;
2. პოლიტოლოგია, თსუ, 2004;
3. პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერება. ნაწ. II. რედ. პროფ. მალხაზ მაცაბერიძე. თბ., 2008;
4. ნოდარ დარსანიას, პოლიტიკა როგორც ურთიერთობებისა და პროცესების სისტემა, ხელოვნება, პრაგმატული აზროვნება, თბ., 2019;
5. დ. ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფიის შესავალი, თბ., 2012;
6. D.A. Easton. Framework for analysis of political life. NY, 1965;
7. X.C. Санистебан. Основы политической науки. М., 1999;
8. Политология. Под ред. М.А. Василика, М., 2005;
9. Политология. Отв. Ред. Док. Юрид. Наук, проф. В.Д. Перевалов. М., 1999;
10. Маркс Ф., Энгельс К., соч. 4;
11. А.А. Горелов. Политология. М., 2006.

თურქეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ასპექტები 2010-2022 წწ.

გურამ მარხულია

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0000-0001-8962-4597>
guram.markhulia@gmail.com



რეზიუმე

მსოფლიოში არსებული ყველა სახელმწიფო იყოფა სამ ტიპად: მსოფლიო დონის სახელმწიფოები, რეგიონალური სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკაც ადგილობრივი მნიშვნელობისაა. თურქეთი თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკით გახდა რეგიონალური სახელმწიფო.

სსრკ-ს დაშლა ნიშნავდა ცნობილი „საბჭოთა საფრთხის“ თავიდან აცილებას. თურქეთს აღარ ჰქონდა საერთო საზღვარი თავის „საშიშ“ ჩრდილოელ მეზობელთან და მოსკოვის გავლენა მეზობელ თურქეთსა და ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებზე მკვეთრად დაეცა. ამან ანკარას საკმაოდ დიდი პერსპექტივები დაუსახა. კერძოდ, ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში მჭიდრო კულტურული და რელიგიური კავშირების დამყარების თვალსაზრისით, ურთიერთობების დამყარება სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან. ანკარა სწრაფად ცდილობდა სარგებლობის მიღებას თურქულ რესპუბლიკებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში იყვნენ. თუმცა, ნათელი პერსპექტივები დაჩრდილა იმ ფაქტმა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთი გადიოდა საგარეო პოლიტიკის რთულ მომენტს.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად, თურქეთისათვის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა არათუ შემცირდა, არამედ უფრო გამწვავდა და საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონული კონფლიქტები, არ ჩაცხრა პირიქით, ცხელი წერტილების კერები გაფართოვდა ახალი კონფლიქტების გამო (ომები სპარსეთის ყურეში, იუგოსლავია, მთიანი ყარაბაღი, ჩეჩნეთი). მზარდი რე-

გიონული დაძაბულობა აშკარა საფრთხეებს ქმნიდა ევროპისა და თურქეთისთვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ ცივი ომისთვის დამახასიათებელი რეგიონალური ძალების ბალანსი გაქრა, ხოლო, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები უკვე არსებობდნენ კოორდინატების სხვა სისტემაში, რომელთა მონახაზი ჯერ კიდევ არ იყო სრული, თურქეთისთვის ვითარება სეპარატისტული აქტივობის ზრდამ დაამძიმა.

ამრიგად, ბიპოლარული ეპოქის დასასრულმა არ მოიტანა სტაბილურობა და შექმნა მრავალი პრობლემა, როგორც ეკონომიკაში, ასევე, უსაფრთხოების სფეროში. სწორედ მსგავსმა საერთაშორისო მდგომარეობამ განაპირობა მისი ახალი გეოპოლიტიკური ამბიციები, სწორედ ამ საკითხების გაშუქების მცდელობაა წინამდებარე ნაშრომში

საკვანძო სიტყვები: ბიპოლარული სისტემა, „სამართლიანი წესრიგის“ კონცეფცია, ისლამური იდენტობის იდეა.

ციტირებისთვის: მარხულია გ., თურქეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ასპექტები 2010-2022 წწ., ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 24-32.

TURKEY'S FOREIGN POLICY AND ASPECTS OF GEOPOLITICAL PRIORITIES

Guram Markhulia

Doctor of Historical Sciences,
Professor of Sukhumi State University
<https://orcid.org/0000-0001-8962-4597>
guram.markhulia@gmail.com

SUMMARY

All states in the world are divided into three types: world-class states, regional states, and other states whose

politics are of local importance. Turkey became a regional state with its independent policy.

The collapse of the USSR meant avoiding the well-known “Soviet threat”. Turkey no longer had a common border with its “dangerous” northern neighbor, and Moscow’s influence over neighboring Turkey and the countries of the former socialist orientation fell sharply. This gave Ankara quite a lot of prospects. In particular, interests in the post-Soviet space in terms of establishing close

cultural and religious ties, establishing relations with the newly independent republics of the South Caucasus and Central Asia. Ankara quickly sought to take advantage of the establishment of diplomatic relations and close cooperation with the Turkic republics that were formerly part of the USSR. However, the bright prospects were overshadowed by the fact that in the early 1990s, Turkey was going through a difficult moment in foreign policy.

With the end of the Cold War, the regional security problem for Turkey did not decrease, but became more acute and significantly increased. Regional conflicts did not subside, on the contrary

Hot spots have expanded due to new conflicts (wars in the Persian Gulf, Yugoslavia, Nagorno-Karabakh, Chechnya). Growing regional tensions posed clear threats to Europe and Turkey. The situation was made even worse by

the fact that the balance of regional powers characteristic of the Cold War had disappeared, and the countries of the Middle East, the Balkans and Central Asia already existed in a different system of coordinates, the outline of which was not yet complete, the situation for Turkey was aggravated by the increase in separatist activity.

Thus, the end of the bipolar era did not bring stability and created many problems, both in the economy and in the field of security. It is the current international situation that led to his new geopolitical ambitions, and this paper attempts to cover these issues.

Key words: bipolar system, concept of “just order”, idea of Islamic identity.

For citation: Markhulia G., Turkish Foreign Policy and Aspects of Geopolitical Priorities 2010-2022, Journal “Business and Legislation”, No. 3, 2022. p. 24-32.



ძირითადი ტექსტი

თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ბიპოლარული სისტემის დაშლის შემდეგ, პირველ ათწლეულში მეტწილად უცვლელი და ურყევი დარჩა, მისი ქემალისტური პრინციპებით, ხოლო შემდგომში ვესტერნიზაციის, ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული პოლიტიკით წარმართა. თუმცა, პოსტბიპოლარულმა პერიოდმა აჩვენა მნიშვნელოვანი ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. ამ ფენომენის ახსნას ხშირად ცდილობენ იმით, რომ თურქეთმა სცადა სამართლიანობის პრინციპების ისლამურ იდენტობაზე მორგება და განვითარება, ხოლო მომხდარი ცვლილებების ან მიდგომების ძირითადი მიზეზი კი იყო თურქეთის ეკონომიკური ინტერესები, გაეძლიერებინა ეკონომიკური კავშირები მეზობელ სახელმწიფოებთან.

თურქეთის პოსტბიპოლარული საგარეო პოლიტიკის ანალიზი მოითხოვს ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების კომპლექსური ბუნების გათვალისწინებას, ზოგადი პოლიტიკისა და საერთაშორისო გარემოს მახასიათებლების მხედველობაში მიღებას და კონცეპტუალურ, მეთოდოლოგიურ მიდგომას, რაც შესაძლებელს გახდის ცვლილებების განხილვას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხაზი, ერთდროულად სამი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ. იგი მოიცავს შიდა პოლიტიკის შესწავლას, საერთაშორისო კონტექსტისა და იდეოლოგიური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ცვლილებებსა და საგარეო პოლიტიკას. ამ მიდგომით შესაძლებელი ხდება თურქეთის ევროკავშირთან და დასავლეთის ქვეყნებთან „მოულოდნელი“ დაახლოებისა და თანამშრომლობის ახსნა. ასევე, ზოგადად ახლო აღმოსავლეთში წამყვანი როლის მოპოვებისა და თავის დამკვიდრების მცდელობების ახსნა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი უცნაური გადახვევები ინტენსიური ყურადღების ქვეშ მოექცა. არა

მხოლოდ სპეციალისტები და მსოფლიო მედია, არამედ ფართო აუდიტორიაც განიხილავს ამ პროცესებს. მზარდმა ინტერესმა, ერთი მხრივ, წარმოშვა მრავალი ვერსია, რომლებიც ხსნიდნენ ანკარას საგარეო პოლიტიკის რთულ ტრაექტორიებს. ამ ყველაფერმა, მეორე მხრივ, სერიოზულად დაამახინჯა საგარეო პოლიტიკის უწყვეტობისა და ტრანსფორმაციის გაგება თურქულ კონტექსტში.

ცივი ომის დასრულებას არ გამოუწვევია რევოლუციური ცვლილებები ანკარის საგარეო პოლიტიკაში, 1990-იანი წლების განმავლობაში. იგი დარჩა ქემალისტური პრინციპების ერთგული, რამაც განაპირობა ზოგადად თურქეთის პროდასავლური ორიენტაცია. ცივი ომის დასრულებამ ხელი შეუწყო ფუნდამენტური ცვლილებების პროვოცირებას და ძალათა გადანაწილებას გლობალურ და რეგიონალურ ბალანსში. თურქეთის, რომელიც „ფლანგი ქვეყნის“ სტატუსს ატარებდა, წინაშე წარმოიშვა შემდგომი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების ახალი ამოცანები.

სსრკ-ს დაშლა ნიშნავდა ცნობილი „საბჭოთა საფრთხე“-ის თავიდან აცილებას. თურქეთს აღარ ჰქონდა საერთო საზღვარი თავის „საშიშ“ ჩრდილოელ მეზობელთან და მოსკოვის გავლენა მეზობელ თურქეთსა და ყოფილი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებზე მკვეთრად დაეცა. ამან ანკარას საკმაოდ დიდი პერსპექტივები გაუხსნა. კერძოდ, ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში მჭიდრო კულტურული და რელიგიური კავშირების დამყარების თვალსაზრისით, ურთიერთობების დამყარება სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან. ანკარა სწრაფად ცდილობდა სარგებლობის მიღებას თურქულ რესპუბლიკებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში იყვნენ. თუმცა, ნათელი პერსპექტივები დაჩრდილა იმ ფაქტმა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთი გადიოდა

საგარეო პოლიტიკის რთულ მომენტს.

სსრკ-ს გაუჩინარებამ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი სპეციალისტი, მ. მუფთაულერ-ბახი აღნიშნავს, ბევრი დასავლელი ლიდერი დააფიქსა თურქეთთან ურთიერთობების მომავალზე. ცხადია, ასეთი შეხედულება თურქეთი, როგორც დაკარგული რგოლი საერთაშორისო უსაფრთხოების დასავლურ სისტემაში ნიშნავდა ანკარას გეოპოლიტიკური ღირებულების გარდაუვალ დეგრადაციას მისი დასავლელი მოკავშირეებისთვის, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით არ იყო კარგი. ჯერ ერთი, ეს გულისხმობდა სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერის შემცირებას და მეორეც, მან ანკარის პოზიცია უფრო შეასუსტა ისეთ მტკიცებულ საკითხებზე, როგორიცაა კვიპროსის საკითხის დარეგულირება ან ადამიანის უფლებების დარღვევა.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად, თურქეთისათვის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა არათუ შემცირდა, არამედ უფრო გამწვავდა და საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონული კონფლიქტები, რომლებმაც ადრე იფეთქა, არ ჩაცხრა და ცხელი წერტილების კერები გაფართოვდა ახალი კონფლიქტების გამო (ომები სპარსეთის ყურეში, იუგოსლავია, მთიანი ყარაბაღი, ჩეჩნეთი). მზარდი რეგიონული დაძაბულობა აშკარა საფრთხეებს ქმნიდა ევროპისა და თურქეთისთვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ ცივი ომისთვის დამახასიათებელი რეგიონალური ძალების ბალანსი გაქრა, ხოლო, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები უკვე არსებობდნენ კოორდინატების სხვა სისტემაში, რომელთა მონახაზი ჯერ კიდევ არ იყო სრული, თურქეთისთვის ვითარება სეპარატისტული აქტივობის ზრდამ დაამძიმა.

ამრიგად, ბიპოლარული ეპოქის დასასრულმა არ მოიტანა სტაბილურობა და შექმნა მრავალი პრობლემა, როგორც ეკონომიკაში, ასევე, უსაფრთხოების სფეროში. 1900-იან წლებში თურქეთმა საკმაოდ სუსტი პერიოდი გაიარა, კოალიციური მთავრობებით. კოალიციური მთავრობები და მინისტრთა კაბინეტის მთლიანი შემადგენლობა შეიცვალა 9-ჯერ, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა კი 13-ჯერ. ამ პირობებში, არც მთავრობის ცალკეულ მეთაურს და არც საგარეო საქმეთა მინისტრს არ ჰქონდათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ თავიანთი იდეები და, შესაბამისად, ვერ ახდენდნენ გავლენას საგარეო პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაზე. ქვეყნის ისტორიაში პირველ ისლამისტ პრემიერ-მინისტრსაც კი, რომელმაც წამოაყენა „სამართლიანი წესრიგის“ კონცეფცია არ ჰქონდა დრო მისი პრაქტიკაში განსახორციელებლად.

თურქეთი ზოგადად მოძრაობდა ტრადიციული ქემალისტური საგარეო პოლიტიკის შესაბამისად, მხარს უჭერდა არსებულ ალიანსებს და თურქეთის, როგორც რეგიონული უსაფრთხოების გარანტიის მნიშვნელობის პოპულარიზაციას.

1990-იანი წლებიდან იწყება მეტწილად პროდასავლური საგარეო პოლიტიკა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება ისრაელთან, რომელიც ანკარას სტრატეგიული პარტნიორი გახდა ახლო აღმოსავლეთში. ცივი ომის დასრულების შემდეგ დასავლეთისთვის ყოფილი სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვის უარყოფითი შედეგების შიშმა თურქეთს უზიძგა ევროპასთან ურთიერთობების აქტიური განვითარებისკენ. ამას ლოგიკურად მოჰყვა ევროპულ საერთაშორისო სტრუქტურებში სრული წევრობის სურვილი და მზადყოფნა გაეფართოვებინა თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. ევროკავშირს, თავის მხრივ, საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა ურთიერთქმედების იდეის მიმართ. 1995 წელს თურქეთი შევიდა საბაჟო კავშირში ევროკავშირთან. ხოლო 1999 წელს მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რისთვისაც ანკარა დათანხმდა საბერძნეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას „კვიპროსის საკითხზე“, რომელიც თურქეთში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევის ბრალდებებთან ერთად იყო მთავარი დაბრკოლება ბრიუსელთან მოლაპარაკებებში. ფაქტობრივად, 1990-იან წლებში ევროინტეგრაცია იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ევროკავშირში განწევრიანება, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი, ერთი მხრივ შეესაბამებოდა პროფესიონალის პროდასავლური ღირებულებითი მატრიცას, ამასთან, საგარეო პოლიტიკური გარემოს ცვლილებებით თურქეთმა გააძლიერა ურთიერთობა დასავლელ მოკავშირეებთან და დაარწმუნა ისინი თურქეთის სტრატეგიულ მნიშვნელობაში ევროპის უსაფრთხოებისთვის კრიტიკულ რეგიონებში: ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში.

2002 წელს თურქეთის სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ახალი პოლიტიკური ხანა, რომლის პერიოდშიც ეტაპობრივად შეიცვალა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები.

პარტიის იდეოლოგიის მთავარ თეორიულ ბაზისად ხშირად მიიჩნევენ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის და ერდოღანის თანამებრძოლის, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის აჰმედ დავითოღლუს ფუნდამენტურ ნაშრომს-- „სტრატეგიის სიღმეს“, რომელშიც გადმოცემულია მისი შეხედულებები საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ადგილისა და როლის და მისი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ.

XXI-ე საუკუნის პირველი ათწლეული თურქეთისთვის გამოირჩეოდა აშშ-ს ექსპონენტურად მზარდი აქტივობით ახლო აღმოსავლეთში. თავდასხმები 2001 წლის 11 სექტემბერს და ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის შემდგომი ომი, შემდეგ კი აშშ-ს შეჭრა ერაყში 2003 წელს - ამ ყველაფერმა გაანადგურა 1990-იან წლებში მიღწეული განვითარება. გამოჩნდა ძალათა ახალი ბალანსი რეგიონში. თურქეთისათვის ამერიკის ასეთი გაძლიერება

რეგიონში ნიშნავდა ახალი გამოწვევის გაჩენას, რაც საგრძნობლად ართულებდა საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს. 2002 წლის ბოლომდე, სანამ ერდოლანის პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში, 90 იანი წლები ხასიათდება როგორც სუსტი კოალიციური მთავრობების ეპოქა. ბ. ეჯევიტის კაბინეტი, რომელმაც 1999 წელს დაიკავა პრემიერ მინისტრის პოსტი, იცავდა პროდასავლურ კურსს, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ საერთაშორისო ქმედებების მხარდაჭერას, არამედ პოპულარიზაციის ნახალისებას. სწორედ ბ. ეჯევიტის მთავრობამ დაიწყო ადმინისტრაციული და პოლიტიკური რეფორმების კომპლექსი, ე.წ. „პაკეტური რეფორმები“, თურქეთის კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესასრულებლად ჰელსინკიში კანდიდატი ქვეყნის ოფიციალური სტატუსის მიღების შემდეგ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიდან, ერდოლანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები იყვნენ ჯერ ა. გიული (2003–2007 წწ.), შემდეგ ა. ბაბაჯანი (2007–2009 წწ.) და ბოლოს, ა. დავუთოლლუ (2009–2014 წწ.). არც ა. გიული და არც ა. ბაბაჯანი პროფესიონალურად არ იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.

ერაყში აშშ-ის სამხედრო მოქმედებების შედეგად, თურქულ-ამერიკული ურთიერთობა განყდა. წარმოშობილი პრობლემების მოგვარების ორმხრივი სურვილის მიუხედავად, სამართლიანობისა და განვითარების პარტიას უსაფრთხოების სფეროში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა რთულად განსახორციელებელი ჩანდა პრინციპული განსხვავების გამო. თუ შეერთებული შტატებისთვის ერაყელი ქურთები იყვნენ მთავარი მოკავშირეები, ანკარა შემფოთებით უყურებდა ქურთების სეპარატიზმის აღზევებას ჩრდილოეთ ერაყში, სადაც ქურთისტანის მუსათა პარტიას თავისი სამხედრო ბაზები ჰქონდა. 1997 წელს ვაშინგტონში საკმარისი მხარდაჭერის ვერ მოპოვების გამო, ანკარამ ალტერნატიული გზა აირჩია - დაიწყო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება. ევროკავშირთან ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, რომლის უმეტესი დეკლარაციას თურქეთმა ხელი მოაწერა 2007 წელს. ფაქტობრივად, ეს ნაბიჯი იყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ტრანსფორმაციისა და მისი უზრუნველყოფის ოპტიმალური მექანიზმების ახალი ხედვის ასახვა. ევროკავშირთან დაახლოება, აშკარად გამოიხატა რ. ერდოლანის პოლიტიკური რეალიზმი, რომელმაც ამ ნაბიჯით ერთდროულად რამდენიმე პრობლემა გადაჭრა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისას ევროკავშირთან თანამშრომლობის მთელი ინფრასტრუქტურა უკვე ჩამოყალიბებული იყო.

2000-იან წლებში ერდოლანისა და მისი: „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლით, ქვეყანაში შეჩერდა ქემალისტური საგარეო პოლიტიკის ტრადიცია და მისი „დაჩქარებული პროცესი“. ლიბერალიზაცია“, რომლის მთავარი მამოძრავებელი იყო

ევბელი იყო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოპოვების სურვილი. ანკარის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა ახალი აქცენტები, წინა პლანზე წამოვიდა თურქეთის ისლამური იდენტობის იდეა, რაც აისახა ქვეყნის თვითპოზიციონირებაზე და მის საერთაშორისო დღის წესრიგზე.

2000-იანი წლებიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აშკარა ცვლილებები დაიწყო. რ. ერდოლანის ხელისუფლების ხაზგასმით რევოლუციურმა მოწოდებებმა, მის მიერ განხორციელებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა რეფორმებმა, ათათურქის „ახალი თურქეთის“ ანალოგიით, გამოიწვია კამათის ტალღა, ორიენტაციის შეცვლასთან დაკავშირებით. მედიასა და აკადემიურ გამოცემებში 2000-იანი წლების ბოლოდან სულ უფრო და უფრო ხშირად ისმოდა ბრალდებები „თურქეთის აღმოსავლეთისკენ გადამისამართების“ ან როგორც ა.კოენმა პოეტურად ჩამოაყალიბა თავის სტატიაში „დაშორება დასავლეთთან“- თურქეთის „ნეო-ოსმალეთის“ პოლიტიკის შესახებ. საგარეო კურსის ცვლილებები უმეტესწილად მოიაზრებოდა საკუთარი საზღვრების პერიმეტრის გასწვრივ აქტივობის გაზრდას, რაც, როგორც ზოგიერთმა მკვლევარმა სწორად აღნიშნა, „ენინააღმდეგება ცვლილების შესახებ თეზისის არსს“. არსებული სამეცნიერო ლიტერატურა თურქეთის მერყე და ხშირად ძნელად პროგნოზირებად საგარეო პოლიტიკის ბუნებას სხვადასხვაგვარად განმარტავს და მის განმსაზღვრელად ზოგჯერ ფაქტორებს ურთიერთსანიანააღმდეგო ფაქტორებს ასახელებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაციები ფოკუსირებულია ისლამზე. როდესაც სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ- გაიმარჯვა 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მან მოიპოვა შესაძლებლობა შეექმნა ერთპარტიული მთავრობა.

მას შემდეგ, რ. ერდოლანის პარტია იკავებდა ხელისუფლებას ქვეყანაში, რომელმაც მოიგო ყველა მომდევნო არჩევნები. გამოიკვეთა რ. ერდოლანის მართვლობის „ისლამური“ ხასიათი. მზარდი ისლამური იდენტობის დომინირება აიხსნება, თუმცა, სამართლიანობისა და განვითარების პარტიაა, ისლამურმა იდენტობამ და „ახალი თურქეთის“ ლიდერების „ისლამურმა წარმომავლობამ“ ხელი არ შეუშალა 2000-იან წლებში ხელისუფლებაში მოსულიყო და ელიარებიანათ როგორც „ერთ-ერთი ყველაზე პროდასავლური პარტია ქვეყნის ისტორიაში“. ისლამურ იდენტობას ხელი არ შეუშლია პროდასავლური კურსის გატარებაში. მაშინ ისმის კითხვა, რამ გამოიწვია 2010 წლიდან საგარეო პოლიტიკის რადიკალური გადახედვა? და სწორია თუ არა, რომ კურსის შეცვლას მხოლოდ ერდოლანის და მის პარტიას ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირებენ.

ბოლო დრომდე მკვლევართა უმეტესობა თურქეთის საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა როგორც, „დავებსა და სტრატეგიული ალიანსებზე“ ორიენტირებულ მიდგომას. ამავე დროს, საგარეო პოლიტიკის ანალიზის ძირითადად მიმდინარეობდა შიდაპოლიტიკური ფაქტორების, როგორც გარეგანის მთავარი განმსაზღვრე-

შემცირდა. ამიტომ ბანკები კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის პირობებში, საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების ფორმირების საკითხებს დიდ დროს უთმობენ. კომერციული ბანკის რესურსები ჩვეულებრივად განისაზღვრება როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და ნასესხები სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

გლობალური ეკონომიკის ქვეყნებში ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის ნაკადების სწრაფი ზრდა წარმოადგენდა იმის მიზეზს, რომ ბევრი უმსხვილესი ფინანსური და საბანკო კორპორაცია, აგრეთვე ვაჭრობასა და წარმოებაში დასაქმებული ფირმები, თავიანთი განვითარების პერსპექტივებს მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებას უკავშირებდნენ. ბიზნესისა და ფინანსების გლობალიზაციის საფუძველი გახდა: ტექნიკური პროგრესის მიღწევების - კომპიუტერიზაციისა და ტელეკომუნიკაციების დანერგვა, ინტერნეტიზაცია, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირება, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა. ყოველივე ეს უწყობდა ხელს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. თუმცა ბოლო -2007-2020 წლებში განვითარებულმა პროცესებმა -საერთაშორისო ვაჭრობის პირობების გაუარესება, საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირება 17%-ით, ხოლო ნაწილობრივი პრობლემების მქონე ქვეყნებისათვის ამ მაჩვენებელმა 4% შეადგინა.

2022 წელს განსაკუთრებით აქტუალური გახდა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთაშორისი გადარიცხვები.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედ-ის 2020 წლის 3 ნოემბრისა და 15 დეკემბრის გადაწყვეტილებების თანახმად, დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, 2022 წლიდან იფეთქებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. თუ გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ეკონომიკაში დაგროვებული დისბალანსები (უპირველეს ყოვლისა, ჯამურ მსოფლიო ვალს, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებით 300 ტრილიონ დოლარს აჭარბებს), ის გადააჭარბებს ომის შემდგომ ყველა კრიზისს და ალბათ, გადააჭარბებს კაპიტალიზმის ისტორიაში ყველაზე მძიმე მსოფლიო კრიზისს, რომელიც დაიწყო 1929 წელს. აქედან გამომდინარე, საკვირველია ის, რომ ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებს ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ რაიმე სახის მინიშნება თავიანთი რაოდენობრივი შერბილების პროგრამების შეზღუდვაზე.

კომერციული ბანკისათვის რეალურად მოზიდული რესურსების ფარგლებში მუშაობა და თავისი ლიკვიდურობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ იგი საქმიანობის შედეგებზე სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და მისი საქმიანობის ეკონომიკური მეთოდებით რეგულირების პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობის

მაღალ ხარისხს ფლობს.

საქართველოში ლიკვიდურობის უკმარისობის პრობლემები საბანკო სფეროში აღინიშნებოდა 2007-2008 წლებში. ბანკებს არ გააჩნდათ საკმარისი ოდენობით გრძელი ფული. ისინი იზიდავდნენ სახსრებს მოკლე ვადით, ხოლო განათავსებდნენ უფრო გრძელვადიან აქტივებში, რაც იწვევდა ვადიანობის მიხედვით აქტივებსა და პასივებს შორის მნიშვნელოვან წყვეტას. გარდა ამისა, ბანკების მიერ მოზიდული სახსრების წყაროები ხასიათდებოდნენ საკმაოდ დაბალი დივერსიფიკაციით და ვერ უზრუნველყოფდნენ საბანკო სექტორში მიმდინარე ზრდის ტემპების შენარჩუნებას საშუალოვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, პასივების სტრუქტურაც არ გამოიყურებოდა დამაკმაყოფილებლად. ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფდა მის ხარჯზე საკრედიტო ოპერაციების გაფართოებას.

ბანკების რესურსული ბაზა საკმაოდ არასტაბილური იყო. ქვეყანაში არ არსებობს კანონი გამოუთხოვადი ანაბრების შესახებ, ასევე, არ არსებობს მოსახლეობის ანაბრების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, რის გამოც საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შიშმა საბანკო ანაბრები თითქმის გაანახევრა. ამგვარად, შეზღუდვები ლიკვიდობაში არსებობდა თვით საბანკო სისტემის შიგნით და ომი მხოლოდ მისი ამძრავი ფაქტორი აღმოჩნდა.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა ითვალისწინებს ბანკის საკუთარი და ნასესხები სახსრების თავისუფალ არჩევანს, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების განკარგვის შესაძლებლობას. ბანკი თავის ვალდებულებებზე მის კუთვნილებაში არსებული ყველა საშუალებებითა და ქონებით არის პასუხისმგებელი, რომლებზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყადაღის დადება არის შესაძლებელი. კომერციული ბანკი თავისი ყველა ოპერაციებისაგან წარმოქმნილ რისკს თავისთავზე იღებს.

თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური რევოლუციისა თუ გლობალიზაციის ფონზე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგრადობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ. ამ მიმართულებით სავალუტო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური ასპექტები ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილია. სავალუტო უსაფრთხოება ისეთ მდგრადობას გულისხმობს, როდესაც გარანტირებული არის ეროვნული ინტერესების დაცვა, სავალუტო სისტემის დამოუკიდებელი ფუნქციონირება და თვითგანვითარება შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი. შედეგად სავალუტო უსაფრთხოების პრობლემატიკის მოგვარება და გადანყვეყნა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

კომერციულმა ბანკებმა საკრედიტო რესურსებზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაგროვილი დანაზოგების მაქსიმალური მობილიზება უნდა განახორციელონ და მიმდინარე მოთხოვნების შეზღუდვის, მოქნილი დეპოზიტიური პოლიტიკისა და

თავიანთი კლიენტებისათვის საიმედოობის მაღალი გარანტიის უზრუნველყოფის საფუძველზე სახსრების აკუმულირების მიზნით საკმაოდ ეფექტური სტიმულირების მექანიზმები უნდა ჩამოაყალიბონ.

საბანკო სისტემების, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მდგრადობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საფინანსო ბაზრების განვითარებულობა, ასევე ფინანსური კანონმდებლობის სრულყოფილობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლების დაცვა, კრედიტორების უფლებების დაცვა, ანაბრების დაზღვევა და სხვ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფართო გადასახედიდან, საბანკო სისტემის პრაქტიკული როლი განისაზღვრება იმით, რომ იგი წარმართავს ქვეყნის გადახდებისა და ანგარიშსწორებათა სისტემას და(სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად) ახდენს მოსახლეობის დანაზოგების, როგორც დროებით თავისუფალი კაპიტალის, გადანაწილებას სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე. საბანკო სისტემა თამაშობს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

უკანასკნელ წლებში განვითარებულ საბანკო სისტემაში პრობლემებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არახელსაყრელმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა. ბანკებში პრობლემების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოწვეული იყო ნავთობზე და იმპორტის სხვა საქონელზე ფასების ვარდნით. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საგარეო ვალის მომსახურების გაძვირებამ საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად. კომერციულ ბანკებში პრობლემებს წინ უძღოდა განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების მკვეთრი ზრდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე სესხების გაძვირების შედეგად. საბაზრო რეფინანსირების გაძვირებამ და ეროვნული ვალუტის დევალვაციამ შეასუსტა ბანკების გადახდისუნარიანობა, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა საგარეო დავალიანების პროცესს. კრიზისებმა ღრმა და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, ვინაიდან მეტი წილი ქვეყნებისა ატარებდა პროინფლაციურ ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას და არ ხორციელდებოდა ადეკვატური საბანკო ზედამხედველობა. თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება ეროვნული ვალუტის გამყარება. საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორი გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა COVID-19 პანდემიური სიტუაციიდან შექმნილი გარემოებების გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო ყველაზე მეტად ზარალობს მცირე და საშუალო ბიზნესი, თვითდასაქმებულები, შრომითი მიგრანტები, ლტოლვილები (დევნილები). არსებული გამოწვევები

მოითხოვს კარგად ორგანიზებული, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი და კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გამოწვევები და შედეგები, რაც შეიძლება გამოიწვიოს უკრაინაში მიმდინარე სამომარმა მოქმედებებმა.

გლობალიზაციამ მსოფლიო დაახლოვა და შეამჭიდროვა ერთმანეთს. ერთ რეგიონში წარმოქმნილი პრობლემა მალევე თითქმის მთელი პლანეტის პრობლემად შეიძლება იქცეს. როგორც სჩანს, ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა დასრულდა და ის ძალიან მყიფე აღმოჩნდა. ამჟამად მიმდინარეობს ძალთა ახალი გადანაწილება.

გლობალური ეკონომიკის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემის განვითარების ზემოთმოყვანილი ახალი გამოწვევები ახალ პრობლემებს იწვევს, რაც საბანკო-საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებს უბიძგებს მაქსიმალურად გაითვალისწინონ განვითარების თანამედროვე ტენდენციები და წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად კონცენტრაცია განსაკუთრებით ორ სფეროზე-საბანკო მენეჯმენტსა და საბანკო ტექნოლოგიებზე გაამახვილონ.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები; თბილისი; 2010 წელი;
2. ვ. პაპავა, გლობალიზაციის ზოგიერთი მოდიფიკაციის შესახებ; თბილისი, 2022 წელი;
3. ი. კოვზანაძე. გ კონტრიძე; თანამედროვე საბანკო საქმე. თბილისი.2022 წელი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N32/94 ბრძანება „კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. თბილისი, 2020 წელი;
6. ო. ნადარაია, ა. ბლუაშვილი, მ. ჩაჩანიძე, თ. კორძია. COVID-19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საბანკო სისტემაზე. თბილისი კაპიტალი, თბილისი, 2020 წელი;
7. USAID-აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; EPRC-ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (2020-2021წ.) ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025 წწ.);
8. ჟორჟიკაშვილი, ბაზელი-III-ის სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება საქართველოსათვის. თბილისი; 2022 წელი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ბანკუთვნილი პროგრამების ფარგლებში განეული დაფინანსების სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა და ანალიზი 2017-2021 წლებში

ბადრი ბიორგიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0000-0002-9658-8579>
badri.giorgidze2011@gmail.com



ანოტაცია

საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი ერთნაირად აზროვნებს, აქვთ ერთნაირი ღირებულებები თუ მისწრაფებები, ერთნაირი საჭიროებები, ერთნაირი სურვილები და მათ მისაღწევად ერთნაირ გზებს სახავენ, სადაც ყველა ადამიანის ქცევა ერთნაირია, ცხადია, რომ არაა საინტერესო და ასეთი საზოგადოების წევრობა არც არავის მოუწდება. ბუნებრივია, რომ ამგვარ საზოგადოებაში ყველაფერი ერთსახოვანი, პროგნოზირებადი და „რუხია“. არასოდეს ყოფილა დავის საგანი ის აქსიომა, რომ საზოგადოების განვითარებისა და მისი პროგრესის აუცილებელი პირობაა ადამიანთა განსხვავებულობა თავისი ინტერესებით, აზროვნების სტილით, გემოვნებით, შესაძლებლობებით, უნარებითა თუ ღირებულებებით. „განსხვავებულობა არის ნორმა¹ და საზოგადოების ქცევის პატერნი მორგებული უნდა იყოს განსხვავებულობის აღიარებასა და მიმღებლობაზე“.

სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ყოველდღიური ბრძოლისა და მნიშვნელოვანი ძალისხმევის ჩადება უწევს იმისათვის, რომ მიიღოს სასურველი განათლება, დასაქმდეს მისთვის საინტერესო სფეროში ან უბრალოდ, იმისათვის, რომ მოიპოვოს საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის უფლება. ზემოაღნიშნულის ერთადერთი მიზეზი კი ისაა, რომ ის შესაძლებლობები და საჭიროებები, რომელიც ამ ადამიანებს გააჩნიათ არ არის იმის მსგავსი, რაც აქვს ადამიანთა საშუალო უმრავლესობას.

ამგვარ ჯგუფს მიეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებიც.

კარგა ხანია რიგი ქვეყნებისთვის წარსულში დარჩა მიდგომა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულიად დამოუკიდებელ ჯგუფად აღიქმებოდა, საერთოდ არ განიხილებოდა მათთვის განათლების მიღებისა თუ მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამა თუ იმ ფორმით ჩართულობის საკითხი. მტკივნეული რეალობაა, რომ საქართველოს უახლოეს წარსულშიც კი არსებობდა არაერთი ოჯახი, რომელთაც მიაჩნდათ,

1 ბ. ჯონსენი, მ. შორტენი განათლება-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება. ნიპუბ ოლაგ-ოსლო.2001

რომ სამარცხვინოა მათი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრის საზოგადოებაში გამოჩენა და რომ ისინი, გადაუდებელი აუცილებლობით გამონეული შემთხვევების გარდა, სახლში უნდა ყოფილიყვნენ. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ვერ იღებდნენ განათლებასა და არანაირი ფორმით არ იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ სფეროში.

შშმ პირთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის ჩვენი საზოგადოების მხრიდან „წინგადადგმული ნაბიჯი“ აღმოჩნდა მათდამი გამოხატული მზრუნველობა და ქველმოქმედება. ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ჰუმანური ფორმა რომ ემპათიაა, ამაზე ხომ არასოდეს და არავინ დაობს, მაგრამ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ შშმ პირებთან ურთიერთობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გულისხმობდეს სიბრაულეს. აღნიშნული ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს ამ ადამიანთა გაძლიერებას და მათთვის არა მხოლოდ იმგვარი დახმარების მიწოდებას, რაც თავის თავში არ მოიაზრებს მათი გაძლიერების შემდგომ პროცესს.

სტატიაში საუბარია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ფორმებსა და მეთოდებზე, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2017-2021 წლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერებისათვის განხორციელებული პროგრამები და შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: ანგარიშგება, ბიუჯეტი, ბენეფიციარი, ბენეფიტი.

ციტირებისთვის: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი პროგრამების ფარგლებში განეული დაფინანსების სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა და ანალიზი 2017-2021 წლებში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 50-57.

DYNAMICS AND ANALYSIS OF THE STATISTICAL MEASURES OF THE FUNDING PROGRAMS FOR PEOPLE WITH DISABILITIES IN YEARS 2017-2021

Badri Giorgidze

Academic Doctor of Economics

Associate Professor of Sokhumi State University

<https://orcid.org/0000-0002-9658-8579>

badri.giorgidze2011@gmail.com

ABSTRACT

A society in which everyone thinks the same, has the same ideals or ambitions, the same requirements, the same desires, and draws the same paths to reach them, is plainly not fascinating, and no one wants to be a member of such a society. It is natural in such a society for everything to be uniform, predictable, and “grey.” The assumption that variety of individuals with their interests, thinking methods, preferences, abilities, skills, and values is an essential prerequisite for the development and evolution of society has never been contested. “Diversity is the norm,¹ and society’s behavior pattern should be tailored to the acknowledgment and acceptance of difference.”

It is an unfortunate reality that a segment of our society must battle on a daily basis and exert substantial effort in order to obtain the necessary education, acquire employment in an area of interest to them, or just win the right to participate in public events. The main explanation for this is that these people’s capabilities and requirements differ from those of the general population.

People with impairments and special needs are also

1 B. Johnsen, M. Shorten; Education- education of persons with disabilities. Nipub Olag. Oslo. 2001 Nipub Olag. Oslo.2001

included in this category.

For a long time, a number of nations maintained a strategy in which persons with disabilities were viewed as a wholly isolated group, with no discussion of obtaining them an education or including them in public life in any manner. It is a tragic truth that, even in Georgia’s recent past, many families considered that it was embarrassing for their disabled family member to appear in public and that they should stay at home unless in emergency circumstances. As a result, they were unable to obtain an education and were excluded from all aspects of public life.

Our society’s “step forward” in ensuring the well-being of individuals with impairments turned out to be expressing concern and charity for them. No one disagrees that empathy is the most humanitarian kind of human interactions, but it is critical to remember that relationships with disabled people should never entail pity. The described connection should try to strengthen these individuals rather than simply supplying them with such assistance, which does not involve the subsequent process of their strengthening.

The article examines the forms and methods of acquiring statistical information, as well as the initiatives performed by the City Hall of Tbilisi Municipality for the empowerment of disabled people between 2017 and 2021, as well as the related statistical indicators.

Keywords: reporting, budget, beneficiary, benefit.

For citation: Takalandze L., Digital Transformation: Importance, Challenges and European Union Policy, Business & Law, No. 3, 2022, 50-57.

შესავალი

იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელსაც თბილისში მაცხოვრებელი 35 688 ოჯახი, ანუ თბილისელი მოსახლეობის დაახლოებით 10,2%, რაც 122 258 პირს შეადგენს, საარსებო შემწეობას სახელმწიფოსგან იღებს (2021 წელს გაცემული შემწეობის თანხამ აღნიშნულ პირებზე შეადგინა 103 583 349 ლარი), კვლავ ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია სოციალური თემები. ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრამები კი განსაკუთრებულ დატვირთვასა და ღირებულებას იძენს.

მოსახლეობის სოციალური კვლევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ანგარიშგების, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების და რიგი სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომის შესრულების მიზანი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა

რაოდენობრივი მაჩვენებლების (რიგ შემთხვევებში სქესობრივ და რიგ შემთხვევებში ასაკობრივ ჭრილში ჩაშლილი), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხებისა და მათი დინამიკის შესწავლა 2017-2021 წლების განმავლობაში. აღნიშნული კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები.

ნარმოდგენილ თემასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება კი მოხდა ე.წ. „სამაგიდე კვლევის“ ანუ მეორადი მონაცემების ანალიზის მეთოდით (მოიცავდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შესწავლასა და ანალიზს).

მოცემულ სტატიაში განხილულია რიგი სოციალური პროგრამები, რომელსაც ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ნაჩვენებია აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მერიის მიერ განეული მომსახურებისა და ფინანსური დახმარების დინამიკა 2017-2021 წლებში.

ძირითადი ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ შემდეგ პროგრამებს:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება.

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამა გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, შუამდგომლობის, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების, ასევე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების და შუამდგომლობის სხვა საჭიროებების დაფინანსებას და მოიცავს შემდეგ მომსახურებებსა და ღონისძიებებს:

- სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან შუამდგომლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენელი ან სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები.


2017-2018-2019 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან მათ წარმომადგენელთა განცხადებების რაოდენობის დიდი წილი კოხლეარული იმპლანტის მოთხოვნაზე მოდის (შესაბამისად - 55%, 46%, 37%). 2020 წლისთვის თანაბარია კოხლეარული იმპლანტისა და სმენის აპარატის მოთხოვნაზე შესული განაცხადების რაოდენობა (25-25 განაცხადი - (23%)). რაც შეეხება 2021 წელს, 43%-ს უტოლდება სმენის აპარატის დაფინანსების მოთხოვნასთან დაკავშირებული განაცხადების პროცენტული წილი (41 განაცხადება).

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ წლების მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისა თუ განაცხადების ჯამური რაოდენობა მზარდია.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, რომ კოხლეარული იმპლანტის, სმენის აპარატის, მუხლის პროთეზისა და პროექტებთან დაკავშირებული განაცხადების რაოდენობათა უმრავლესობა კოხლეარული იმპლანტის დაფინანსებაზე მოდის და აღნიშნული მონაცემი 2017-2021 წლებში მერყეობს 8,4% - 55% შუალედში. ყველაზე ნაკლებ მოთხოვნადი კი მუხლის პროთეზის დაფინანსებაა და აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ განაცხადებათა რაოდენობა მხოლოდ 1% - 6,3%-ის დიაპაზონშია მოქცეული.


დიაგრამაზე დატანილია 2017-2021 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების/განაცხადების რაოდენობის შესახებ მონაცემები.

დიაგრამა 1.
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები/განაცხადები




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის /განცხადებებისთვის გამოყოფილი თანხების შესწავლით კი დგინდება, რომ კობლერული იმპლანტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები 2017-2019 წლებში აღნიშნული პროექტისათვის გამოყოფილი თანხების 58%-სა და 74%-ს შორის მერყეობს. 2020 წელს კობლერული იმპლანტის დაფინანსებაზე მოდის პროექტისათვის განკუთვნილი თანხის 25%, 2021 წელს კი - 22%. ამასთან, ზემოაღნიშნულ წლებში საშუალო ბენეფიცი ერთ ბენეფიციარზე 7 601 ლარიდან 12 066 ლარამდე შუალედშია. აღნიშნული დასკვის საფუძველს ქვემოთ მოყვანილი ორი დიაგრამა იძლევა.

დიაგრამა 2
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის/განცხადებებისთვის 2017-2021 წლებში გამოყოფილი თანხები



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისა და განცხადებების დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი ჯამური თანხები თითქმის მსგავსია 2017-2020 წლებში და მერყეობს 832 562 ლარიდან 843 800 ლარამდე. 2021 წლისთვის კი აღნიშნული თანხის ოდენობამ 729 127 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 3
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების/განცხადებებისთვის გამოყოფილი ჯამური თანხები 2017 - 2021 წლებში



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 2017-2021 წლებში (სხვადასხვა პერიოდში) ჩართულნი იყვნენ შემდეგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:

- ა(ა)იპ სარეზილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი "აისი";
- ა(ა)იპ ბავშვი ოჯახი საზოგადოება;
- (ა)იპ ასოციაცია ანიკა;
- ა(ა)იპ სმენის და მეტყველების დარღვევის მქონე პირთა ასოციაცია;
- ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯამრთელობის ასოციაცია;
- ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი;
- ა(ა)იპ კავშირი ადამიანები რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ;
- ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი;
- ა(ა)იპ კავშირი ია ა(ა)იპ საქართველოს უსინათლოთა კავშირი;
- ა(ა)იპ ამიერკავკასიის ექიმთა ლიგა;
- (ა)იპ ახალგაზრდული მედია კავშირი;
- ა(ა)იპ მშობელთა ხიდი 33;
- ა(ა)იპ ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი პარსა;
- ა(ა)იპ საერთაშორისო განათლებისა და გლობალური კავშირების ასოციაცია „IEGNA“;
- ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ;
- ა(ა)იპ მზის შვილები;
- ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისათვის;
- ა(ა)იპ საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია;
- ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი (თარჯიმან დაქტილოლოგიების მომსახურება);
- ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი ((ყესტური ენის სწავლება);
- ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია;
- ა(ა)იპ რელიქვია;
- ა(ა)იპ ფონდი აურეს;
- ა(ა)იპ ოთახი ეზოში;
- ა(ა)იპ სამართლისა და თანასწორობის ცენტრი;
- ა(ა)იპ ახალგაზრდული მედია-კავშირი.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დასვენების უზრუნველყოფას.

პროგრამის ბენეფიციარები არიან:

- თბილისში რეგისტრირებული 3-დან 21 წლამდე ასაკის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები;

- შშმ მოზარდების ჯანმრთელი ტყუპისცალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);


პროგრამის ფარგლებში მომსახურების სახე და ოდენობა არის:

- მომვლელის თანხლებით შშმ პირთა დასვენება საქართველოს მთისა და ზღვის კურორტებზე;
- მინიმუმ სამჯერადი კვება;
- კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ადგილას ტრანსპორტირება და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება;
- დანიშნული მკურნალობის უწყვეტობა (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;
- ზღვის კურორტზე დასასვენებლად განსაზღვრულია 12 დღე;
- მთის კურორტზე დასასვენებლად განსაზღვრულია 12 დღე.

პროგრამის მოსარგებლებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ქ. თბილისის მუნიციპალუტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერით გამოვლენილი მიმნოდებლების მომსახურებით ან ვაუჩერული სისტემით, რომლის ფარგლებშიც თავად აირჩევდნენ მომსახურების ადგილს, სასტუმროს და მომსახურების პირობებს მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა თბილისისა. 2018 წლიდან პროგრამა მოქმედებს მხოლოდ ვაუჩერული პრინციპით. ვაუჩერით სარგებლობის ვადა განისაზღვრა ანაკლებ 6 დღე-ღამისა. ვაუჩერის ფასი 2017-2018 წლებში 700 ლარს შეადგენდა, ხოლო 2019-2021 წლებში კი - 800 ლარს.


2017-2021 წლებში ზემოაღნიშნული სერვისით ისარგებლა 7184-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა და მოზარდმა. ვიზიტორთა საერთო რაოდენობის მეოთხედი 2017 წელსა (25%) და 2021 წელზე მოდის (23%). მსგავსია 2018, 2019 და 2020 წელს სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობები და ისინი 14%, 19% და 19%-ს შეადგენს.

დიაგრამა 4
საქართველოს მთისა და ზღვის კურორტებზე დამსვენებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობები 2017-2021 წლებში



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ 2017-2021 წლებში პროექტისათვის გამოყოფილმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 4 869 860 ლარი. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნული თანხა წლების მიხედვით ზრდადია და აღნიშნული ზრდის მაჩვენებელი 83%-ია.

დიაგრამა 5
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურებისათვის 2017-2021 წლებში გადარიცხული თანხები



3. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის, ქ. თბილისში რეგისტრირებული 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების განწევას.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციის ოდენობაა 800 ლარი, რომელიც გაიცემა კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერადად 400-400 ლარის ოდენობით, მაისისა და დეკემბერის თვეებში.


ცხრილი 1
სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა და გადარიცხული თანხები 2017-2021 წლებში

წელი	2017	2018	2019	2020	2021
რაოდენობა	760	986	963	1 090	1 286
თანხა	607 600	788 400	770 000	871 600	966 000


ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2017 - 2021 წლებში სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობებს სქესის მიხედვით. ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ბენეფიციართა ჯამურმა რაოდენობამ 5 084 შეადგინა. წლების მიხედვით მზარდია აღნიშნული რაოდენობა და 759-დან 1 286-მდე დიაპაზონში იცვლება. ნებისმიერი წლისთვის კაც ბენეფიციართა რაოდენობა აღემატება ქალ ბენეფიციართა რაოდენობას.

დიაგრამა 6. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა, საშუალოდ ერთ ეტაპზე 2017-2021 წლებში

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ოდენობას 2017-2021 წლებში. აღნიშნულ პერიოდში პროექტისათვის გამოყოფილმა ჯამურმა თანხამ 4 003 600 ლარი შეადგინა.



დიაგრამა 7. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გადარიცხული თანხები, საშუალოდ ერთ ეტაპზე 2017-2021 წლებში



საინტერესოა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მონაცემთა დამუშავების ანალიზმა აჩვენა, რომ 0-5 ასაკის ბენეფიციართა რაოდენობა 12.1%-15.8%-ის დიაპაზონშია, 6-11 ასაკის მქონე ბენეფიციართა რაოდენობა მერყეობს - 44.2%-46.6%-ს შორის, 12-17 ასაკის მქონე ბენეფიციართა რაოდენობა კი - 39.5%-42.7%-ს შორისაა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია 2017-2021 წლებში, საშუალოდ ერთ ეტაპზე, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და შესაბამისად, მათზე გადარიცხული თანხები.

ცხრილი 2

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა, საშუალოდ ერთ ეტაპზე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2017-2021 წლებში

წელი	2017	2018	2019	2020	2021
0-5	240	300	234	272	167
6-11	679	872	870	1016	576
12-17	599	802	824	892	543
სულ	1 518	1 974	1 928	2 180	1 286

ცხრილი 3

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გადარიცხული თანხები, საშუალოდ ერთ ეტაპზე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2017-2021 წლებში

წელი	2017	2018	2019	2020	2021
0-5	96 400	119 600	93 200	108 800	118000
6-11	271 600	348 400	347 600	406 400	444000
12-17	239 600	320 400	329 200	356 400	404000
სულ	607 600	788 400	770 000	871 600	966000

დასკვნა

მოპოვებული და დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია მეტყველებს იმაზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივ დონეზე, მუდმივად უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური ინკლუზიის პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია ამ პირთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ, სოციალურსა თუ სპორტულ ცხოვრებაში სრულად ჩართულობისათვის. ზემოთნახსენები პროგრამების ფარგლებში მერიის მიერ განეული მომსახურებისა და ფინანსური დახმარების დინამიკის მაჩვენებლები კი, როგორც ამას მოპოვებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, 2017-2021 წლებში ზრდადია. აღნიშნულ პერიოდში მერიის მიერ დაფინანსდა სულ 11 პროგრამა. იმ სამი პროგრამის დაფინანსებისათვის, რომელზედაც სტატიაშია საუბარი, ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან გაცემულმა თანხამ 2017 – 2021 წლების მიხედვით შეადგინა შესაბამისად 2 246 331,5; 2 342 952,2; 2 624 749,4; 2 881 509,9; 3 074 980,5 ლარი, ჯამურმა თანხამ კი 13 170 524 ლარი.

მსოფლიოში მუდმივად მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ცვლილებები სერიოზულ გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ჯგუფებზე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, არსებობს ამ ადამიანთა დაცვის არაერთი მექანიზმი, მუდმივად განვითარებად სამყაროში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა წინაშე, როგორც წესი, ჩნდება ახალი სოციალური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოების რისკები.

ამდენად ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილის მხარდაჭერა და გაძლიერება, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2017 – 2021 წლების ქალაქ თბილისის ბიუჯეტი;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2017 -2021 წლების სტატისტიკური კრებულები;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდზე <http://tbilisi.gov.ge/> განთავსებული ინფორმაცია;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ. გვერდზე http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1540 განთავსებული ინფორმაცია;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვებ. გვერდზე <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba> არსებული მონაცემები.

სომხური ეთნონაციონალური ექსპანსიონიზმის გეოპოლიტიკური ზომები სამხრეთ კავკასიაში

ელგუჯა ქავთარაძე

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
<https://orcid.org/0000-0003-0471-1291>
ekavtaradze9@gmail.com



რეზიუმე

სომხური ისტორიული პრეტენზიების გენეზისზე მითითებით, ჩვენ გამოვდივართ ფართოდ აღიარებული პარადიგმიდან, რომ „სომხური იდეა“ არის მრავალმრიანი ფენომენი, რომელიც მოიცავს მრავალ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიურ კონტექსტს. ყველა ეს კომპონენტი უხილავად არის წარმოდგენილი სომეხი ხალხის მეზობელ ერებთან და სახელმწიფოებთან კონფლიქტების გენეზისში.

სომეხი ხალხის ეთნოპოლიტიკურ სივრცეს ყოველთვის ახასიათებდა პრობლემებისა და წინააღმდეგობების ძალიან რთული და რთული ნაკრები, რამაც ხშირად გამოიწვია ომები, დეპორტაციები და ძალადობრივი დავები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის.

სომეხი ერის ისტორიული მისია, მისი განვითარების მთელი კურსით გამოწვეული, მიზნად ისახავს მეზობელი ერების და ქვეყნების ტერიტორიების მითვისებას.

სომეხი პატრიარქის [1] ბრალით ქართულ-სომხური ფედერალური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაიშალა. ამიტომ ახალი სომეხი ეროვნული ლიდერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიისთვის გეოპოლიტიკურ ბრძოლაში აღმოცენებულ რუსეთს.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის დაიწყო რუსეთ-სომხური საიდუმლო გეოპოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იყო კავკასიაში სომხური სახელმწიფოს შექმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიებზე.

სომეხებს ჰქონდათ გრანდიოზული ოცნებები, რომლებიც მათ მიატოვეს მხოლოდ 1920 წელს, გიგანტურ სომხეთზე, რომელიც ბანაობდა სამი ზღვით - ადანიდან ტრაპიზონამდე - და გადაჭიმულია ბაქომდე. ასეთი სომხური სახელმწიფო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ

მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების ხარჯზე, მხოლოდ იმ ხალხების სისხლით, რომლებმაც ოდესღაც შეიფარეს და დაასახლეს ისინი თავიანთ მიწებზე.

1828-1830 წლებში რუსეთის პატრონაჟით სამხრეთ კავკასიაში 40 000 ირანელი და 100 000 თურქი სომეხი ჩამოსახლეს. აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ჩამოსახლებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასახლებული იყო ყარაბაღის მთიან რაიონებში და საქართველოს სამხრეთ რაიონებში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში რუსეთი გეგმავდა კიდევ უფრო გაფართოვდეს და განავითაროს თავისი დაპყრობითი და შეტევითი პოლიტიკა სამხრეთის მიმართულებით. რუსეთი კვლავ ცდილობდა სომეხების გამოყენებას თავის პოლიტიკაში და დაჰპირდა მათ ახალ ტერიტორიაზე სომხური სახელმწიფოებრიობის დამყარებას. დაიწყო თურქეთში სომეხების ბრძოლა „ეროვნული დამოუკიდებლობისთვის“, რომელიც ზოგჯერ ნამდვილ ომში გადაიზარდა. ეს სომხური მოძრაობა მოგვიანებით გახდა ცნობილი როგორც „სომხური საკითხი“.

საკვანძო სიტყვები: სომხური საკითხი, სომხური იდეა, კავკასიისთვის გეოპოლიტიკური ბრძოლა.

ციტირებისთვის: სომხური ეთნონაციონალური ექსპანსიონიზმის გეოპოლიტიკური ზომები სამხრეთ კავკასიაში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 58-64.

GEOPOLITICAL DIMENSIONS OF ARMENIAN ETHNO-NATIONAL EXPANSIONISM IN THE SOUTH CAUCASUS

Elguja Kavtaradze

Doctor of Political Sciences,

Professor at Sukhumi State University

<https://orcid.org/0000-0003-0471-1291>

ekavtaradze9@gmail.com

Referring to the genesis of Armenian historical claims, we proceed from the widely acknowledged paradigm that the “Armenian idea” is a multi-layered phenomenon, which includes many political, socio-economic and ideological-psychological contexts. All of these components are invisibly present in the genesis of the conflicts of the Armenian people with neighbouring nations and states.

The ethno-political space of the Armenian people has always been characterised by a very complex and intricate set of problems and contradictions, which have often led to wars, deportations and violent disputes between different ethnic groups and states.

The historical mission of the Armenian nation, prompted by the entire course of its development, has the aim of appropriating the territories of neighbouring nations and countries.

Through the fault of the Armenian patriarch,[1] the effort to create a Georgian-Armenian federal state failed in the second half of the 18th century. Therefore, the new Armenian national leaders gave special importance to Russia, which emerged in the geopolitical struggle for the Caucasus.

By the end of the 18th century, the formation of a secret Russian-Armenian geopolitical alliance began, which had as its goal the creation of an Armenian state in the Caucasus on the territories of Georgia, Azerbaijan and Turkey.

The Armenians had grandiose dreams, which they abandoned only in 1920, of a gigantic Armenia, bathed by three seas - from Adana to Trabzon - and stretching as far as Baku. Such an Armenian state could only be created at the expense of the territories of neighbouring states, only on the blood of those peoples who had once sheltered and settled them on their lands.[2]

Between 1828 and 1830, under Russian patronage, 40,000 Iranian and 100,000 Turkish Armenians were resettled in the South Caucasus. We note the fact that the vast majority of the settlers were settled in the mountainous regions of Karabakh and the southern regions of Georgia.[3]

Throughout the second half of the nineteenth century, Russia planned to further expand and develop its conquest and offensive policy in the southern direction. Russia again tried to use Armenians in its policy and promised them the establishment of Armenian statehood on the new territory. The struggle of Armenians in Turkey for their ‘national independence’ began, at times escalating into a real war. This Armenian movement later became known as the ‘Armenian Question’.

The history of the emergence of Armenian nationalist parties and their active work in favour of the so-called “Armenian national idea” actually begins in the nineties of the 19th century, but their origins are much deeper - they have their roots in previous centuries, when Armenians did not have their own statehood for many centuries, after the fall of the Ani kingdom (1045) (also, Bagratid Kingdom of Armenia).

The emergence and development of the Armenian nationalist movement from the outset was linked to the international situation and was largely determined by foreign policy factors. Thus, the Russo-Turkish War of 1877-1878 ended with the defeat of Turkey and the signing of the Treaty of San Stefano, according to which Turkey lost most of its possessions in the Balkans (Serbia, Romania), Bulgaria became an autonomous principality, besides South Bessarabia, Batumi, Ardahan, Kars and Bayazet passed to Russia [4]. It was by that time the Armenian movement began. In 1878, when the Russian armies moved deep into Anatolia, capturing Kars, Erzerum, and on another front, liberated Bulgaria and approached the outskirts of Constantinople, at this point the Armenians, deciding that their time had come, sent a deputation led by the Armenian patriarch in Constantinople Varzhabedian, who was received by the governor of the Caucasus, the Grand Duke Mikhail Nikolayevich [5]. At the same time the Armenian Patriarch Nerses appealed to the Russian government before the conclusion of the Treaty of San Stefano, where he “on behalf of the Armenian population” requested “the intercession of Russia” [6]. It was this Armenian initiative that caused the San Stefano Treaty to include \$16, under which Turkey was obliged to introduce reforms giving them self-government in those Vilayets where Armenians were compactly living [7].

Naturally, this Armenian initiative led to considerable tension between the Sultan government and the Armenian community in Turkey, and the seeds of enmity and mistrust were sown.[8] Armenian nationalists adopted the idea of creating a “Greater Armenia from sea to sea” and unrest began in Sasun, Van and other regions. Naturally, Turkey could not forgive the betrayal of the Armenian population, the results of which were unfortunate for the Armenians.

We have to note that contrary to the San Stefano Agreement, according to which the reforms were to be controlled by Russia alone, this function was now assigned to the six powers that participated in the congress.[9] However, the powers were in no hurry to solve the so called “Armenian problem”. The first Armenian nationalist party “Armenakan” was created under such circumstances, with its centre located in Van and branches in Tbilisi, Baku, Trabzon, Constantinople, as well as in Persia and the USA [10]. The program of the party stated that its aim was “to obtain by revolutionary means the right for the Armenian people to lead their own

lives” [11]. It also stated that the revolutionary work of the party should be deployed only among the Armenian population, as “forces should not be wasted on the deployment of the revolutionary movement among neighbouring nations, for the outlook, demands and development of the Armenian people differ significantly from other nations, which can affect the development of the revolutionary movement, slowing it down” [12].

Some other revolutionary organizations and parties were formed among Armenians [13], but they were short-lived and yielded the palm to “Dashnaksutun”.

After unsuccessful attempts of Armenian political organizations to tear off some territories from Turkey back in 1878 to create an Armenian state, Armenian leaders continued their policy of occupation of territories already inside the Russian Empire and the result of the new Armenian movement was the emergence of the Armenian-Azerbaijani conflict in 1905. In their pogroms in Baku, the Armenian side pursued the aim of ‘cleansing the mixed populated territory of Azerbaijanis’ - thereby preparing an ethnic base for an independent ‘great Armenian state’. For the same purpose, in November 1905 the Armenians carried out a bloody massacre of the Georgian population of Tiflis. They sought to liberate the city from non-Armenians and prepare Tiflis for the capital of a future independent “great Armenian state”. At the same time, the Dashnaks decided to separate the Borchali and Akhalkalaki districts from the Tiflis province and from these territories to form a new - Alexandropol province [14].

Although Tsarism could have unceremoniously undertaken administrative and territorial reforms and transferred a certain part of Georgian territories to the Armenians, it did not consider it expedient to create an explosive situation in the run-up to the World War. Therefore, the Tsarist regime targeted the eastern vilayets of the Ottoman Empire, cleverly suggesting to the Armenians the gravity of their position in Turkey.

It was quite easy to agitate the Turkish Armenians. Once upon a time at a meeting one of the Dashnaks would object to an uprising in Turkey, saying that all Armenians would be slaughtered there, while others would reply: “Blood must be shed and the civilised world would take notice”. This is how the leaders of “Dashnaksutun” were thinking about their plans [15].

On the eve of the First World War the Young Turks tried to persuade Armenians to take an active stand on the side of Turkey. However, the Armenian leaders had other aims. The aspirations of the Armenian nationalists were seen by the Turkish leadership as treason against the interests and ideals of the Turkish Empire [16].

The Russian troops of the 1st Caucasus Army crossed the Turkish border on 4 November 1914. The numerous Armenian committees of the “Gnchak” and “Dashnaksutyun” parties in the rear of the Turkish troops began to organise mass disturbances, robberies, killings of civilians, attacks on state institutions, mosques, etc [17].

The Dashnak leaders were well aware, that they would never achieve their objectives in Turkey by peaceful means - there were simply no prerequisites for that. Therefore in 1914, when the war started, and especially in the spring of 1915, when the Russian army counter-offensive started, they decided to implement their tactic of “emptying the void”. The Dashnaksutun emissaries, who were at the head of armed gangs (rebel groups), launched a general uprising of the Armenian population in the vilayet of Van, which was at the epicentre of the unfolding hostilities. During the Russian offensive in the southern part of the Turkish front these volunteers committed a merciless massacre of the peaceful Turkish population. Turkish villages occupied by Dashnak units were “liberated” from living people and turned into ruins filled with disfigured victims [18].

The Ottoman government initially opted for defensive tactics, suppressing rebellions in individual regions. The government perceived these as isolated incidents, despite Armenians fleeing with their weapons and the large role of religious leaders in the uprisings. A message was sent to the Armenian patriarch at this time stating that there were not enough gendarmes to restore public order in the country because of the war, and that if the disturbances caused by the Armenians did not stop, “the government would be forced to take harsher measures for the defence of the country” [19].

All these attempts by the Ottoman government to solve the problem peacefully have been documented. During the period when the Ottoman troops were fighting on the front line, the Armenian actions were carried out as planned: “For the independence of the Armenians, in order to serve the interests of the Allies”. But it should not be forgotten that the actions of the Armenian gangs in the rear of the Ottoman troops - under international law - are nothing less than high treason [20].

On 21 February 1914, 30,000 ethnic Turks were killed in Kars and Ardahan by trained Armenian gangs. Babies were taken away and thrown into the fire. The murders were preceded by brutal torture. One of the direct organizers of these murders was the ideologist of the Armenian terrorist organization “Gnchak”, deputy of the Turkish Parliament Stepan Ter-Danielyan [21].

Seeing such actions of the Dashnak “heroes” and aware of the Tsarist plan to “solve” the so-called Armenian question, the Turkish government decided in April 1915 on the general deportation of Armenians living in Turkey.

The reason for resettlement was the treachery and extermination of the ethnically Turkish population in the territories seized by the Russian Empire, where the establishment of an ‘independent’ Armenia was envisaged. The purpose of relocating the Armenians on the Iranian and Caucasian front lines was not to exterminate them, but to ensure the security of the Turkish state.

Sharing the skin of an unkilld bear was premature. Ironically, Russia withdrew from the war after the revolutionary explosion in 1917, the Russian army left the occupied ter-

ritories and with them hundreds of thousands of Armenians moved to the Transcaucasus and settled in the Georgian and Azerbaijani lands [22].

On 20 November 1917, the Petrograd Sovnarkom proclaimed: "We declare that the treaty dividing Turkey and 'taking away' 'Armenia' from her is torn up and destroyed. As soon as hostilities cease, the Armenians will be assured the right to freely determine their own destiny" [23].

The declaration was agreed with Germany. In practice it meant renouncing the protection of the Turkish Armenians. Such a decision of the Bolsheviks was (as it later turned out, erroneously) dictated by the belief that the Turkish leader M. Kemal was going to be at the forefront of the struggle of the oppressed peoples of the East against world imperialism.

The Bolshevik coup in Russia and their policy on the 'Armenian issue' threw the Dashnaks (who were so close to their cherished goal) into disarray and the Armenian public wondered how to proceed.

The leaders of the Dashnaks repeatedly indulged the Armenian people with illusions, instilling in them unrealistic hopes of establishing a "Great Armenia" and assuring them that the Dashnaksutiun was supported by powerful forces, referring to Russia, then to England and France. The interests of these powers undoubtedly converged on the "Armenian issue", but this interest did not yet mean that they were prepared to provide real comprehensive and large-scale assistance, without which Dashnaksutyun's plans were doomed to failure.

However, the Armenian nationalist organisations quickly adapted to the new political realities. Having realised that the plans for the creation of "Armenian statehood" in the territory of Turkey had become considerably more difficult, if not completely failed, the Dashnaks switched to the implementation of this idea in the Transcaucasus.

As early as the beginning of 1918, the Dashnaksutyun party began implementing a criminal plan to oust Azerbaijanis from their ancestral lands for their subsequent colonisation by Armenians. For this purpose, the Dashnaks actively recruited Armenian armed units who had previously fought in the Russian army on the Caucasus front.

One of the first large-scale operations by Armenian formations to ethnically cleanse the territories of the Transcaucasus from Azerbaijanis was carried out in the province of Erivan. Between February 17 and 21, 1918, regular Armenian armed formations under the command of Colonel Pirumov, using artillery, razed 21 Azerbaijani villages to the ground in that province. Erivan province 197 Azerbaijani villages were plundered and destroyed [25].

